

ტანტანოზი



ჩვენს საიმიდო ხელში არის ცხოველების ჩარხი;
 მას ვერ მოგვტაცებს განდევნილი სხვისი ხიზანი...

იპყრობს გუნებას ჩვენს მკლავით ჩაინა და არხი...
 ზოგს, ცხრა მთის იძით ალაპ არის ჩვენი მიზანი.

„პირიქით“

რამდენი უბედურება მოიტანა ოქტომბრის ჩამოღობისათვის

ერთი ქვეიანი და დარბაისელი კაცი ამბობდა, ამ ქვე-
ყანაზე ნურავის და ნურაფერს შეაქებო. (თუმცა თვითონ
დღედაღამე მეფის ქებაში იყო და ესაა ალბად ერთ-
დაც არინ იქ, სადაც მართალნი განისვენებენ).

ასე თუ ისე ეს კაცი ნაწილობრივ მაინც მართალი იყო.
ნურაფერს შეაქებ, ეს ისეთი ლოზუნგია, რომელზე-
დაც ბევრ იმედს დაკარგულს დაწყდება გული.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის
რევოლუციის ქებაშია, განსაკუთრებით გაზეთები, და
თავლი გადმოსდით პირიდან, სირცხვილი იქნება, რომ
„ტარტაროზი“-ც უპასუხისმგებლოდ აყვეს მათ საერთო
ხოტბას თავისი ხმაც შეუერთოს.

წაუკითხავად ვიცით, თუ რა ეწერება დღეს გაზე-
თებში. ვიცით როგორ და რაზედ იქნება იქ ლაპარაკი, ვი-
ცით რა ციტრები, პროცენტები, შედარებები და სხვა ამ-
გვარი მოსაწყები რამეები იქნება იქ მოყვანილი, მაგრამ
არაინიც ის, თუ რა იქნება დღეს „ტარტაროზში“. რა
კარიკატურები იქნება მოყვანილი, ვინ იქნება გამოკითხ-
ული და სხვა.

ჩვენი წერილის თემაა დღეს გაავრცელებული არა ის ზედ-
წერილები, რომელიც მოგვანიჭა ოქტომბრის რევოლუ-
ციამ, არამედ გამოვამზეუროთ და გამოვჩხრიკოთ ყველა
ის უბედურებანი და ბევრად თუ ცოტად სამწუხარო მო-
ვლენები, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ ძალაუ-
ნებურად მოგვთავაზა თავს.

პირველი და უდიდესი უბედურება, რომელიც ოქ-
ტომბრის რევოლუციამ მოგვითანა, ეს იყო თვით ოქტომ-
ბრის რევოლუცია.

რა საჭირო იყო ეს მეორე რევოლუცია, როდესაც
პირველიც საკმარისი იყო.

ჩვენი ღრმა რწმენით ეს მხოლოდ თავმოყვარეობის
საქმე იყო.

ვანმარტაც მაგალითით:

სასადილოში თქვენი სახელი გატეხილი იქნება სამუ-
დამით, თუ მარტო პირველით დაკმაყოფილდებით და
მეორე არ მოითხოვთ.

და აი ეს მეორე რევოლუციაც ამგვარ თავმოყვარე-
ობის საქმე იყო მხოლოდ და სხვა არაფერი.

შემდეგ დიდი უბედურება, რომელიც ამის შემდეგ
დატრიალდა, ეს იყო „უჩრდილკას“ გარეკა.

ნაფიცი ორატორები ათასობით იდგნენ რიგში ტრი-
ბუნასთან, როდესაც ის ტრიბუნა გადააყირავეს, და რა
გასაკვირი იყო, რომ ამის შემდეგ რევოლუციის სახელი
სამუდამოდ გატყდა ჩვენში.

თურმე რევოლუცია აღმოჩნდა ის კედელზე მი-
ჯდარი ბუზი, რომელიც ლურსმნად მივიჩნიეთ და მამა-
პაპათაგან დატოვილი ლამთა გულმშვიდათ ჩამოვკიდეთ
ზედ.

ერთადერთი ბედნიერება იყო კიდევ კოლჩაკის, დე-
ნიკინის და სხვათა რაზმები, მაგრამ საუბედუროდ ყოვე-
ლი ბედნიერება წარმავალია და წუთიერი.

ამის შემდეგ, მორიგი დიდი უბედურება მენშევიკე-
ბის თავიდან მოშორება იყო.

თავის დროზე მათი თვალი და ყურხ მუდამ ევრო-
პისაკენ იყო, და თუ დღეს მათი ტანიც იქ არის, ისევ ამ
უბედურებას უნდა უმაღლოდგნ.

ევროპის შემოვლა ბევრს ენატრება, და თუ ეს მოხდა

იძულებით, რა უყოთ, სიხან ასეთი იყო ბედი, ყველას თა-
ვის ადგილის მიუჩენს იგი.

ამტომ არის ნათქვამი:

ბედი მომეც და სანაგვეზე გადამაგდეთ.

ყოველივე ამის შემდეგ სად უნდა ენახა პატიოსანი
ადამიანს თავშესაფარი თუ არა ერევნის მოედანზე და
სპეკულიაციის ქაობში ოდნავ მაინც მოეთქვა შეხუთული
სული.

დღეები განვლილი ერევანკაზე, შეთარღებული იმ
დროის გარემოებასთან და გამარჯვებული საშუალო
დღიურ ნაღლეტზე უნდა ჩაითვალოს ოდნავი გათენე-
ბით ჩვენს ჩამოხრელებულ ცხოვრებაში მაშინ.

მაგრამ ამ გათენებას მალე უფრო უარესი ჩამოღამე-
ბა მოყვა და თქმის უკვე ამომავალ მზეს ჩეროვნიცი
ამოეფარა წინ და ისევ ჩამოაბნელა.

ეს იყო ისეთი უბედურება, რომლის მსგავსი არ ენახა
არც ერთს ჩვენს მეგობარს და ნაცნობს.

სასაფლაოს დაემსგავსა ერევანკა და შემთხვევით გა-
მარჩენილი ღამის ლანდებით დავებეტებოდით იქ, სანამ
ბებიების, ნათლიების, ნათლულების და სხვათა დახმარე-
ბით ერთ- ერთ მსხვილ დაწესებულებაში არ ამოვყავით
თავი.

რა თქმა უნდა იქ ხაფანგიც მზად იყო, მაგრამ ხა-
ფანგი ხომ ამისათვისაა მოგონილი, რომ იქიდან უნებ-
ლად დაძვრე და შეიმდეგ უფრო თბილ და ნაკლებ საშიშ
ადგილზე მოკალათდე.

და თუ დღეს პორტფელით დავდივარ, ეს მხოლოდ
იმიტომ, რომ გამეც უპორტფელოდ იგივეა, რაც პოეტი
უმუხოდ.

ამას წინად მოსკოვშიაც მიმავლინეს. რა ვუყოთ თუ
ისეთ რამისათვის, რომელიც ტფილისშიაც თავსაყრელია.
განა იმით უნდა დავკმაყოფილდე რაც გვაქვს. ჩვენი
ლაზუნგია:—წინ, უკეთესისაკენ..

რაც ნიშნავს მოსკოვისაკენ.

ან და საზღვარგარედ, (უკან დაბრუნებით რა თქმა
უნდა).

ყველაფერი კარგი, მაგრამ უბედურების სუნი მაინც
დგას რაღაც:

მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ.

რუსთაველის პროსპექტზე ვერ გაგისეირნებია საღა-
მოობით რომ ფეხსაცმელები არ გაისვარო და გაიმტკერო,
ისე გავაფთხარეს ტროტოარები.

უბედურებაა, სწორედ პაემანი ვერსად დავინიშნავს.
ერთადერთი ბედნიერება ამ დროს შეხვიდე იქვე
ერთ ნაცნობ შენობაში, მოუჯდე მაგიდას, ჩაჯდე ას ან
ორას მანეთზე და გაბრწყინებულ სახით წამოხვიდე შინ.
ამ დროს სრული ბედნიერი იქნებოდი, რომ კიდევ
ახალი უბედურება არ გიღრღნიდეს გულს, რომლის კუდი
ორთაქლაში მარხია...

აი, მოქალაქენო, როგორც საკუთარს თვალთ ხე-
დავთ, სულ უბედურება და უბედურება, და ნუთუ ამის
შემდეგ თქვენ შეგიძლიანთ თქვათ, რომ ის ბუზი კედელ-
ზე, რომელზეგდაც ასე გულმზრყვილოდ ლამთა ჩამოვკი-
დეთ, ლურსმანი იყო?..

თვალსაზრისით, რა თქმა უნდა...


სინემატო.



„მ ე ა გ უ რ ე“



ჩვენ ძველს ვანგრეთ... მის ნანგრევებზე ვაუწევთ ახლებს.
აზურს აზურზე ვაწურობთ და ვაგებთ კოშკებს და სასლებს.



აკოფას „კლავოროა“

— იმანუმეს გეოჯან? კიდევ პრახნიკი შერებინა, თუო დევიატ გადავშინა მოგვესვლიაო, მთელ გოროდს უკრავდენია უშერებინან, უპრავაზე და ღვარცხზე ლინტრიცკი ლუმინაციები აკეთებენ... ვა, მამ მავათ ხელში დავრჩით რაღა აკანჩატელნათ, ჩვენი იმედებო და აქიდანიები გაპუსტიაკდა და ჩვენი შემცოდებელი დედამიწაზე აბარ გაჩნდა!..

მახლავ, ალბათ ყისმათი იყო რაღა, ჩვენი ბედის ყნილაში ეწერა თუ—აკოფჯან, დევიტსოცვოსენაციტ გოდაში ქვეყანა ვადაბრუნდესო და შენი და შენი ჰამქრის ხალხის მოგებულ იმინიაზე სხებება გაიხარონო, შენ კი ხმელი პური და წვანილიც გენატრებოდეს და ძველ დროის მოლოდინში გულის ქონი დაგადნესო!..

ახარ მოლოდინშიც რომ აღარაფერი ეყარა და! გულს ვირთობდით რაღა, ხანუმას ქორწილით ავტებდით ყვირილსა თუ—მოდიან, მოდიანო, ზირთფირთი ვმკრებოდით და მოღა მასრადინასავით ჩვენც ვგვეკროდით რომა ჰა, დღეს თუ ხვალ ნიკოლოზის დრო მოვრდოდა, ჩინსა და მენდალს ისევ გასაფალი მიეცემოდა და ჩვენც პაჩოტნი ღრავდანიონობს დავებრუნებდით.

ბან ჩუნის? ჩვენითვის თავი ათავინ გაიცებლა და არავინ მოგვეხედა, ეს ბემურაზებო კი თანდათან უკრავდენია ახარებოდნენ რაღა, ცხოვრებას თავის ყაიდაზე აპაჩინკებდნენ და პუპუს! ბოლოს ისეთი ბუნუსტრაშნი გახდნენ რომა გაიძახიან თუ, მთელ ჰევროპიას ვზარვაიტი უშდა უყოთო, კაპიტალო უნდა ჩამოგადლოთ და ზედ მუშა უნდა დაეცვათო!

მოდინ ანლა შენ და ვირი ტალახიდან ამოიყვანე, არა, კაი იონჯაც კი მოგვივა თუ. გრანიცაშიც, ბალშევიცკი სტროოქნეს რაღა, კაპიტალის სეფრეინია მიახდინეს! არა აშ ბემურაზებს იმ ჰევროპიისავან რაღა უნდათ და, აქ რაც უქნიათ კიდევ ჰა, რაც წაუღიათ, თოდ წაიღონ, ჰალაღი იყოს, იმ ხალხს რაღას ერჩიან, მაისვენონ რაღა!

იზამენ, ჩემა მზემ იზამენ! ნებრემენათ იქაც ბერევა-როტი იზამენ. მერე რაღას იტყვი გეოჯან? რაო, შენ კიდევ იმედი გაქვს? კარკი ერთი ხელი აიღე მამა გიცხონდება და, შენო იმედი დაბად ოსეფას იმედსა ჰვავს რაღა, თავის ვირზე რქების ამოსვლას რო ელოდა!.. არ იცნობდი ოსეფას? აი, ყიყვიან აღებოს შევიდი რო იყო რაღა, კუკიაში სადაბალო ჰქონდა! ცოტა ჰობოპებინან კაცი იყო, ღმერთმა შეიწყალოს ამ მოგონებაზედა.

მე კი ატრავენათ გებნები, ყველაფერზე ხელი ამილია, ახალი ვეინია მამსვლია და პირდაპირ პლატფორმაზე ვდგები... ვა, რას იცინი, ზიარების მადლმა, ჩემი სიყმარ მზემ მართალი გებნები: ახარ ამის თაბაუთი არის რაღა, პრიჩინასაც ვაგავებინეფ.

როცა ნიკოლოზი ჩამოავდეს და ქალაქში სლაბოდნი პარტიობა დაიწყო, მე ყველაფერი ჩოთქში ჩავადე. ვარაუდი გავწიე რაღა, ეს ქვეყანა ბანილონსკი ბაშნია გახდა-მეთქი, ახარ ვინ იცის ახრიზამანში რომელი პარტია აჯობებს და მეც საქმეს ისე დავიქერ, რომ ყველა პარტიაში ფეხი მაღდას მეთქი. შაფათ ღამეს, ჩემი ოჯახის ექსტრენი ზანდანია გავმართე და ყველანი ისე გავანაწყილე, რომ სახლში ყველა პარტია მქონდა: მე დამწყაცაქანი გავხდი, ჩემი უფროსი ბიჭი—გარეგანა ჩრეხმერონი მენშევიკი გავხადე, პატარა ბიჭსაც უთხარი თუ, შენ ჯერ პატარა ხარ-მეთქი ჰამა, ამხანაგებში ხმები დაავდე რომა ერთომ ბალშევიკის პარტია მოგწონს... ამ ჩემმა ცოლმა სათენიკამა აიხირი თუ მე რაღა თქვენზე ნაკლები ვარო, მეც ქალების დამცველ პარტიაში უნდა შევიდეო. ვებნები—დედაკაცი, ახარ შენც კი ნუ ატუნცროუტებდი, შენ რაღა დამცველი ვინდა, მე აქ არა ვარ მეთქი?—ჩვენი პარტიებში შავდივართ აქ სხვა თაბაუთია, სხვა რაშ-ჩოტია მეთქი. არ დამიჯერა და იმანაც აბშესტეენი დეიტელნიკობა დაიწყო.

საქმე ამით დაიწყო, ჰამა, შენს მტერსა და დუმმანს გეოჯან, რაც ჩემ ოჯახში ამბავი დატრიალდა: ჩვენ სახლ-

ში სადილის, ან ზაკუსკის დროს შამოგენენდა, პირდაპირ ბურნი ზანდანია გეგონებოდა, ყველანი ერთმანეთს დაეროვნდენ ხოლმე და უმტკიცებდნენ, რომა არა ჩემი პარტიის პრავარამა სჯობია და არა ჩემიო. ბოლოს საქმე კრივეზ ვადადიოდა და ქურჭლის მტერევეით თავდებოდა. გებნები რაღა, სამი დღეინი უხუნეცოვის სერვეზო დამტკრეულა ჩემ სახლში პალიტიჩესკი ბრძოლის გამოისობითა.

პირველათ მე ნუმრობა მეგონა, ეს ბემურაზო ბიჭები მართლა საცილისტები არ გეგონა!.. ასობენათ ეს ლაწირაკი იოვანე, რაღა—ჩემი პატარა ბიჭი, ნამდვილი ბალშევიკის კომსომოლი ვამხდარა და პირდაპირ გვიკობლდა რაღა,—იმის შიშით სახლში ვეღარ შევიდით: შენ ბურეუაზია ხარო, პალიტიჩესკი სპეკულიაციას ეწევირა, ნიკოლოზის სულსა ლოკულობო, დღეს თუ ხვალ ჩვენ გავიმარჯვებთ და მაგ ლიპს სულ მეტეხში დაგიდნობთო, მუშების სისხლით გასცედიო, ერთი სიტყვით, ოჯახი ვადაძირა რაღა, პრიკაშიკებში ჩირთი ჩამიგლო, ყველანი ამიჯანყა და მტრათ ვადაძეკიდა.

ბოლოს სახლიდანაც წავიდა, თუთ მე შევიგენ რომა ყველა პარტიოსანი ახალგაზრდა, მუშა ხალხის ხარეს უნდა იყოს და შენს სახლში ჩემი ფეხი მმ ეთ იყოსო. იმტოლი იხალშა, რომ ჯერ ციხეში იდგინა და ბოლოს საჯაროველოს გრანციდან ვისილკაც გაუშვეს. იქიდან ჩემ პატარა გოგოს წერილი გამოუგზავნა, ესხლა ერესეფესერი ვარო და მალე გაიმარჯვე მ ათა ხალხიო,—მე-მუქრებოდა რაღა!..

უფროსი ბიჭი გარეგენა კი მილოციის უჩასკაში ნაჩაღნიკათ დააყენეს და ჩემი კოჭიკ ალჩუს დაჯდა: ვაქრობა ისევ ვავაჩაღე, კახიონი რამეები სხვადასხვა ორდერებით გამოჰქონდა, ვყიდრდით და აღხეინათ შამოგვიდოდა დახატები.

მაგრამ დიდი ხნით არ დამცალდა დოირანი, მალე ისევ იჩინავები აირია და პერევაროტი ქნეს. ჩემი გარეგანა მენშევიკებთან გაიქცა, დუქანში მთელი შეშვიდირეკვენიცია უყვეს და ბოლოს სახლებიც და მალაზიაც ჩამამართვეს.

ჩემი ბემურაზი ბიჭი ჩამოვიდა ჰამა, ერთი ბეწო ჯიგარი აღარ გამაჩინა, ახლოც არ მიმიკარა, არაფერში—დახმარება არ გამიწია, ასმა შენ სტარი ზაკალი ხარო, მენშევიკი ხარო, სპეკულიანტი ხარო, ათასი ჯანდაბა და ღოზანა გამამიგონა.

ვებნები:—ჰერნანიწაწ, სომ იცი, რომა მე მარტო სარფისთვის ვმკრებოდი, შელი არა ხარ, ამაგი არ გახსომს რაზე მლოუამ მეთქი: თუ ჩემი შშობელი სახალხო საქმეა, რევილიუციას სარფა არა სწამსო, შენთან სეიანზე დიდი ხანია ვავწყვიტეო... იმას მერე მე ხეირი ველარ ვნახე, ლუკმა გამრიელათ ველარ შევკამე, ვაქრობის ჰუნარი დავკარგე და აკანჩატელნათ გავიქუტე.

აქეთ იქიდან მებნებოდნენ: აკოფჯან, გაუძელ, მაგათი კანეთ მოსულია, ჰამა, საცა გრანიცა ვეიშველისო. მაგათ როგორ შეუძლიანთ გასუდარსტეენი საქმეები გააკეთონ, ყველაფერს დანგრევენ და მერე ანგლიას და ფრანციას ეტყვიან თუ ბალი-ალა, გემორჩილებითო. ბევრი, ბევრი ექვსი თვე გისლონო... მეც იმედი მქონდა რაღა, ჰამაც ჩემი ჰემიგრანტი შვილი იქიდან მანუგეშებდა, თუ დღე-ღღეზე მოვიდვართო...

საქმეში ხარ... ექვსი თვე გავიდა, ექვსი წელიწადი შესრულდა, მეშვიდე დღეა და პუპუს ესხლა ცხრა წლის პრახნიკსა შერებინა!.. თანაც ამბობენ თუ მეორე მეცბერე წელიწადი რომ მოვა, მაშინ უყვდავებაც გვექნებაო, ოზღუსში სახლები უნდა ავაშენოთო, ეს არატის ვერშინა უნდა ავილოთო და იალბუზზე უნდა დავდოთო, მტკვარის ქვეშ ბატანიცკი ბალი უნდა გავაშენოთო, მხეს ისევე უნდა უქნათო და მთელი ქვეყანა სულ ლიბტრიცკებით უნდა გავანათოთო, ურბებში კამეების მაგივრათ ვებრმანილები უნდა შევებათო, ტრახტინები უნდა დავკეთოთ და ზოტები უნდა გავაკეთოთო, ბებრებსა და ჯეპელებს წერა-კითხვა უნდა ვასწავლოთო და ისეთი აბრაზენია უნდა მიეცეთ, რომა ფრანციულს სულ მამა-

ცხრა წლის ბრის ასეთია, — გაიზრდება
 რა იქნება?!
 მისი ძალით და უნარით ეს კვებანა
 გარდამიქნება.



ოჩვენოსავით კითხულობდნენო; ერთის სიტყვით რას იტყვის ადამიანის ენა, რომ მაგათ არ აპირობდნენ იმის გაკეთებას.

ვა, მართალია, ქრისტეს მადლმა, ჩემი სიყმის მზემ ნეპრემენი სიმართლეთა. ერთი ყური უგდებ, ქრისტიანული თვალთ გადახედე რაღა, დაინახე მაგათი ნაქნარები და ყველაფერს დაიჯერებ... ვა, ვა, ვა... ჩემამზემ მაგათი დუშმანი ვიყავი ჰამა ატკრავენათ გებნები, მთელი ქვეყნის სპასენია მაგათ შესძლებიათ, მაგათი შნო და პუნარი, მაგათი მარიფათი, მაგათი რაზმახები არა რომ მართლა დიდი ყოფილა! არა რამტოლი რამეები გააკეთეს და! ეგ ბემურაზები სულ ინჟინრები და პროფესორებო ყოფილან რაღა, აქამდის ოქრომჭედლების ქუჩაზე ორი სუქანი კაცი ერთათ ვერ გაივლიდა: მუცლებს ერთმანეთს დააჯახბდენ, ეხლა კი სატიფოს მოედანი გეგონება: მთელი უზნის სახლები ისე გადალაგეს, გეგონება ლოტოს კოჭები იყოსო, ეს

ახალი ზდანიებო, ეს ზაგესიო—ეს რამეო, ენ მოსთველის!..

ახარ მეც დაუფიქრდი რაღა, რაზუმენია ექენი, ყველაფერი ჩოთქში ჩავაგდე და სულ სხვა უბეფდენიაზე დავდექი: რის იმედი, რის მოლოდინი!... იმედი რომ იყოს, გრახიციდან აქ გამოიქცეოდენ? (ყურში გებნები, ამ დღეებში ჩემი ემიგრანტი ბიჭისაგან წერილი მაქვს, თუო რაზლაფენია მიმივიდა და მაინთ მოვდივართ!)

ერთისიტყვით, მე პლატფორმაზე ვდგები—მორჩა გათავდა, ჩემი სიყმის მზემ გინდ დაიჯერე გინდ არა, პლატფორმაზე ვდგები, თუ მიმიღეს!..

პრაშენია უნდა გაუგზავნო ბალშევიკებს რომა პლატფორმაზე ვდგები და ჩემი ჩასტნი სობსტვენია დამიბრუნეთ მეთქი!.. კვეიანურათ არ ვიქცევი გეოჯან? რაო? გაციინებენ და პანლურსა გკრამენო? ანჩეს ასუმ ქემატახ?—ახარ გულს ნუ მისეთქამ დე!.. ფარსადან.

9 წლის თავი

გეურქა. დღეს 9 წელსწადი შესრულდა რაც რომ სავეცკი პარტიატკები დადგა ძველ რუსეთში. მახსოვს პირველი დღეები. ყველას იმედი ჰქონდა რომ სავეცკი თავრობა როგორც ნაადრევულად დაბადებული ბავშვი დღეგრძელი არ იქნებოდა. მაგრამ უყურეფ როგორი ციცირის კვერცხივით კირკიტი გამოდგა?

საქულა. მამ, გეურქჯანი შე სულ იმას გეუბნებოდი, რომ ეს სავეცკი ელასტი როგორც ზაჰისის კედლები, ისე მაგარია მეთქი; რაც გინდა მაგრათ მოაწვეს კონტრევი-უციამ. მინც აიტანს. ამ ელასტ იმიტომ ესახიან მუშათა და გლეხთა მთავრობას. მუშა ძველებური გამოძწვარი აგურია, გლეხიც მაგარი კირია, ორივე ერთად კი წარ-მოადგენენ ისეთ დაუშლელ ქვიტკირს, რომ ვერც ერთი წერაქვი მას ვერას დააკლებს რას.

გეურქა. მემრე რით უნდა აიხსნას ამნაირი მოვლენა, საქულჯან? ჟორდანიას მთავრობას მთელი საქართველო თითს უწევდა, მაგრამ ისე დაიშალა, როგორც სათამაშო ქალაქების ხუხულა.

საქულა. მემრე რა არის გასაკვირველი? ჟორდანიას მთავრობას საძირკველი თავიდანვე გაბზარული ჰქონდა. თავლიან თითს ეპარსაც ალოკებდა, თავად-მემამულესაც გლეხსაც და მუშასაც. ბოლშევიკები კი უფრო ჰკვიანათ მოიქცნენ. იფიქრეს, რაც გინდა რომ ყოჩაღი ვიყენეთ, ერთი ხელით ოთხ საზამთროს ვერ დავიქერთო. ელასტი უნდა მუშებისა იყოსო, მხოლოდ ეს მუშები კი გლეხებ-ბთან იქნებოდა შეკავშირებული და მის გავლენის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენო. თქვეს და აასრულეს კიდევ.

გეურქა. მემრე რა დიდი სარგებლობაც ამ ელასტმა მოუტანა მუშებს? ჩვენ წავგართვეს რაც რომ გვებადა და თითონაც ტიტველ-შიშვლები დადიან.

საქულა. მაგას რათ იძახი, გეურქჯალა! მუშების მდგო-მარობა ძალიან წინ წაიდა. დეარეცებში ეგენი სხედან ავით გახდებიან, უკეთესი დობტურები მაგათ არჩნენ, და-ჩა-კურორტებზე ეგენი მიდიან, სამეტაჟიან სახლებში ცხოვრობენ, მაგით შვილებს ტენიკუმ-უნივერსიტეტში პირველ რიგში იღებენ, წინათ 12 საათს მუშაობდნენ, ეხლა კი დღეში 6-8 საათზედ მეტს არ ამუშავენ. რო-მელი ერთი უნდა გითხრა, გეურქჯან? ეხლა მაგით ბედს ძალი არ დაჰყვებს. დღეს შეიძლება კიდევ ბევრი რამე აკლდე, მაგრამ რაც რომ ახალი კეთდება და შენდება სულ მაგით ხელში ვარდება. უსტა გეურქ! ელასტი ხელ-ში უქირამთ და თავიანთ მტრებს სულ ჩუპარ-პაპარ ახ-ტუნავებენ-რასაც მოიწადინებენ იმას აასრულებენ.

გეურქა. სწორე გითხრა, საქულჯან, მე დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს მიჩიქვია.

საქულა. საქმეც იმაშია, რომ დღეს კვერცხის პატ-რონები ისინი არიან და ხვალინდელ ქათამიც იმ კვერ-ცხიდან უნდა გამოიჩეკოს. იძახი: შიშველ-ტიტველი და-დიამო? რასაკვირველია, რაც დარჩათ და რასაც ეხლა აკეთებენ, ამას ეგენი დღესვე არა სქამენ. ეგენი ძველ-ბურ ვაჰრებივით ეხლა ყაირობითიანთ იქცევიან—შემოსა-ვალს ზოგსა, ეხლა იყენებენ, ნაწილით კი თავიანთ თან-ხას აძლიერებენ.

გეურქა. ამ ბოლოს რაღაცა ოპოზიცია რომ გამოჩნდა, სწორე გითხრა, საქულ, მე მეგონა, ვა, რაღაცა შტუკა მოხდება მეთქი, მაგრამ მაგით კოკი სულ აღჩუთ ჯდება რაღა.

საქულა. აი, თქვენ ვაჰრებსა გასაყოფი და სულ რო-გორც ყასაფხანის ძალები ერთ ძეაზე ისე სჩხუბობდით ერთმანეთში. მუშებს კი საჩხუბარი არაფერი არა ავით ერთმანეთში. ბევრს გააკეთებენ, ბევრს შეჭამენ, ნაკლებს გააკეთებენ ნაკლები ერგებათ. თქვენ შორის კონკურენ-ცია არის, იმათ შორის სოლიდარობა, როგორც იძახის ჩემი კონცომოლისტი დისწული.

გეურქა. აბა დღეს ძალიან ატროტები იქნება გამოკი-მული ვაზეთ ჟურნალებში. ეს ფლანი საქმე გავაკეთეთ და ეს ფსტანი. გეურქ, ჩვენში კი დარჩეს და ამ ბალშე-ვიკებმა ცოტა ტრაბახი კი იციან აი! ხანდისხან წყილს დააორსულებენ და აქლემს აშობინებენ.

საქულა. ბიკო, არც მაგაში ხარ მართალი. ტრაბა-ხობა აბა მენშევიკებმა იცოდნენ აი! ინგლისელებმა ორი ორი დუჟინი ჯორები ჩამოიყვანეს საქართველოში და მენშევიკების მთავრობამ რადიოთ მთელ ქვეყანას აც-ნობა რომ ანგლია დიდ დახმარებას გვიწვესო. ბალშე-ვიკებთან ომის დროს სამი-ოთხი ტყვე წამოიყვანეს ჯუ-ღელის გვარდიელებმა და მთელი ქვეყანა მოფინეს რომ ბოლშევიკების ჯარები დავამარცხეთ და დღეს-ხვალ ბაქოსაც ავიღებთო. (აღბათ ინგლისელ ჯორებში მენ-შევიკები ბაქოს ნავთს დაჰპირდნენ). ბალშევიკებმა კი ბევრი რამ გააკეთეს ამ ცხრა წელიწადში. არა, ძმაო, თუ რომ ამნაირათ განაგრძობენ მუშაობას, მაგათ ეშმა-კების ხელმწიფეც ვერაფერს ვერ დააკლებს. რა გე-თქმის, გეურქჯან! მაგით წისქვილი დღეს კარგათა ფქვამს და ხვალ უფრო უკეთ დაფქვამს.

გეურქა. ნეტავ ვიცოდე რას ფიქრობენ ან აკეთებენ ზაგრანიცაში გაქცეული მენშევიკები?

საქულა. რა უნდა ზფიქრონ, გეურქჯან? განა თავში ტვინილა დარჩენიათ რომ საქმეზე ფიქრონ? აქ მთელი საქართველო ხელში ეჭირათ, პოლი-პოლკებზე მოა-წვეს, გვარდია გვარდიაზე და მაშინაც ძაბრის ქუღია-ნების შიშით შავ ზღვაში ჩაცვიდნენ და ეხლა რა უნდა გააკეთონ. მეთაურები სხედან და ლაქიებივით უტკერიან თვალელებში ზაგრანიჩნი ბურჟუებს „ნაჩაის“ მოლოდინში, მუშა მენშევიკები დაბრუნდნენ თავიანთ მუშურ სამშო-ბლოში და დანარჩენები კი ყოფილი ვაჰრები, ოფიც-რები და ჩინოვნიკები იმის მოლოდინში არიან,—იქნება შეგვიშვან საქართველოში.

გეურქა. მამ რაც დრო გადის იმდენი უმაგრდება საძირკველი ამ სავეცკი ელასტს რაღა?

საქულა. გეურქჯან, ეს სუყველაფერი ცხოვრების მოვლენაა: ყველაფერს ფერი ეცვლება—ღვდელი და ტერტერა ზაქსათ გადაიქცნენ, დალაქი პარიკმახერათ, მქედელი სლესრათ, ხარაზი საპოჩნიკათ, დერციკი პარ-ტნოვათ და გუშინდელი მონები და დაჩაგრულები დღეს ქვეყნის ბაზონ-პატრონებათ გახდნენ. დღეს ცხრა წელი შესრულდა, რაც რომ ახალი ცხოვრების ნაშენები დარ-გეს ბალშევიკებმა. როგორც მტკვრის სელას დიდი ხნით ვერ გააჩერებ, ისეც ახალ ცხოვრებას. გინდა, გეურქჯან, ამ 9 წლის თავზე სამჯერ ცალი ცხვირი მოგივიდეს, მინც ბალშევიკების საქმე ხეირია, ხეირი!

გინმე.

ი ნ ტ ე რ ვ ი უ

ოქტომბრის დღესასწაული, რომ სასიყვარულო და სასიხარულო მოვლენაა— ეს ყოველმა ორატორმა და რეგისტრატორმა იცის. მკითხველ საზოგადოებას, ალბათ აინტერესებს ყველას კონკრეტული აზრი ამ დღესასწაულის სუბსტანციის და ძალთა კოორდინაციის აპერაციებში დისტანციის ინტუიტიური და ატავისტური ინტეგრაცია ანუ ძალთა დიფერენციაციის და პაუზერეზაციის შედეგად აღმოცენებული სტრუქტურის კატეგორიებით გარემოცულ... (გაგრძელება იხილე კ. კაპანელის ახალ წიგნში).

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში უმუშევარმა, რომა-ნოზ ქინქლაძემ ოქტომბრის დღესასწაულის მნიშვნელობაზე განაცხადა შემდეგი:

მესამე წელიწადია უმუშევრად ვარ და ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ დიდი დღესასწაულები სტოვებენ შთაბეჭდილებას. ამ დღეებში მე დადივარ ნაცნობებში და მაგრად ვძლები.

თქვენ მეკითხებით: რატომ არ იშოვნით სამსახურს— აი რაშია საქმე: ერთ დაწესებულებაში დადიოდი სამსახურის საშოვნელად, მ თუე. ჩემი შესასვლელი გზა გადიოდა საღაროს ახლო შეკუდილ თუ არა, ყველას მოწონებით ვესალმებოდი და დაბლა თავს ვხრიდი. მოლაშქრემ იმდენი უცქირა ჩემს გამოხედულ შარვალს, რომ... საწყალი მ თვის შემდეგ დაბრუციანდა და ამ ნიადაგზე ანგარიში დააკლდა კარგა მოზრდილი თანხა. ეხლა ეს კაცი თითონაა ჩაკეტილი ფულების მაგიერ. ამას წინეთ სახ. კომიუსტში კრება იყო გამოცხადებული. კრებაზე ყველგან დაედივარ— იქნება კაი ნაცნობობა შევიძინოთქო; მივედი აქაც, დაეჯექი გუგულოვით და ერთი პირი რომ გამოვიძინე, ვილაც უღბებოდა კაცმა გამაღვიძა. შეკითხვები თუ ვინმეს გაქეთო, — გამოაცხადა თავმჯდომარემ და მეც ვიკითხე: რა და რა დამნაშავეებზე ვრცელდება. ახალი ამნისტია რო გამოვა?

ვერ გავიგე კარგი ამბავი— დაბრუციანებული მოლაშქრე რჩება ციხეში.

ლაპირების შესახებ

საზოგადოთ დაპირების შესახებ უაფლანა ყიოცამ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში სთქვა:

— მე როგორც მუსიკოსმა ამას წინეთ დაეწეე ოპერის წერა, მაგრამ ეხლა უკვე აღარ ვუქჩარი მის დამთავრებას, რადგანაც ოპერა რომ დაღვან კიდეც წელს, ხალხი აღარ დაესწრება. ასე რომ ჩემი ოპერის დამთავრება გადადებული მაქვს შემდეგისათვის. ამის მეორე მიზეზიც აქვს. შეეჩვიე სიტყვა „გადადებს“. თბილისის აღმასკომმა გადასდო, — სასამართლომ საქმე გადასდო, — კრება ვადაილო, — ხიდის ასაგებათ... გადასდო, გადასდო და გადაილო— ამას ვკთხოლობთ ქრონიკაში ყოველდღე.

არა, ერთი მითხარიო— მე რატომ უნდა შევასრულო ჩემი დაპირება, როდესაც... თბილისის აღმასკომს, რომ უნდა დაეწყო ვორონცოვსა და ვერის ხიდების შეერთება სანაპირო ქუჩით დაიწყო? საბინაო ტარიფი რომ უნდა გამოემუშავებიათ, საბოლოოთ, დარწმუნებული ხართ, რომ ეს ტარიფი აღარ შეიცვლება? კონდრატანდას ვებრძვიოთ— განა ყველას კონდრატანდა არ აცვია?!

მის ახსარებს დღესასწაული

ასეთი დიდი დღესასწაული, როგორც დღესა, სხვადასხვანაირად ახარებს მცხოვრებთა სხვადასხვა ფენებს. ამის შესახებ უგროზისკში პატიმრებმა ჩვენს თანამშრომელს გადასცეს შემდეგი:

— ჩვენ, აქ თავი მოგვიყარეს საწყალი ქურდებს, ოთახების გატეხის სპეცებს, გამფლანგველებს და სხვა ჩვენ ძმებს. პირადათ მე ერთი ობოლი ბიჭი ვიყავი. შევედი ერთ ბნაზე, როცა ქ არავინ იყო; მივიხედ-მოვიხედე და რა დაინახა ჩემმა თვალებმა... ვერაფერი. გაქცევისას ოთახში დამჩხა სხვისი ბარგის გასაქრავი თოკი და მეორე დღეს აქ ამომაციოფიეს თავი. თქვენ, უფალო თანამშრომელო, გრძნობთ რომ აქ მე სრულებით უდანაშაულო ვარ და არაფერი არ მომბარავს. შემდეგ გამოირკვა, რომ ეს ოთახი გასაქირავებელი ყოფილა და დიასახლისი ქალი 400 მანეთს თხოულობდა „ოტსტუპნოს“. მე ვამტყიცებ, რომ ჩემზე უფრო დამნაშავეა ის დიასახლისი და ის, ვინც ის ოთახი არ იქირავა და იქ არაფერი დამახვედრა.

დღესასწაული ჩემთვის პირდაპირ მისწრებაა. იქნებ ამნისტია გამოსცენ და გამანთავისუფლონ. თუ შემდეგ კიდე დამჩხეს თოკი... ბიჭი არ ვიყო. DITON



რადიო მამალი



— საკვირველია, რომ ჩვენი გამგე აღარ იგვიანებს სამსახურში!
— არაფერიც არაა საკვირველი; მან ამ დღეებში სოფელს რადიო შეუერთა და დილაობით მამლები აღვიბენ მას.

ახალი ხანა

ძველმა დროებამ წაიღო
თავისი ხალხი ქრთამებით.
მისხლების ნაცვლად სასწოროზე
ებლა აწყვია გრამები.
და რუსთაველის თეატრშიც
მიღის ახალი დრამები.

არშინმაც კუბო გაზომო
ძველ ადათის და წესისა;
მეტრი პარალეს იძახის,
ვერშოკი მწარედ კენვისა—
დღეიდან ეამი იწყება
ახალი თესლის თესვისა.

გეო ტირის და ქვითინებს,
ახიკაც ივლეჯს კაჭებსა,
ცრემლებით მისჩერებიან
დუქნის გვალვიან ღარებსა
და კოოპერატივებისა
ხალხით გატენილ კარებსა.

ქარხანა მოსდევს ქარხანას
თავის წესით და რიგითა,
მუშები შიისწრაფიან
ტკბილ სიმღერებით იჭითა—
აღღებრძვლებენ საბჭოებს
შრომით აღსაევს ჭიჭითა.

ზაპსიც საქართველოსა
გულში მზედ გაუბრწყინდება,
ნისლი თუ ჯანლი დარდების
თვალს ცრემლად მოეწმინდება
და სამოთხეში სიცოცხლე
არავის მოეწყინდება?!
კიკლა.



ცხრა სახარება

— ცხრა სახარება გაგიწყურეს კოროპუზ, ცხრა სახარება!

— მითომ გეოსაც არ გაგწყურებია რაღა!

— გამიწყურა რომელია, კაცო! განა მარტო ცხრა? მე-ათემაც დაიწყო გაწყურება; დღეს მეათე წელიწადი იწყება რაღა რაც ეს ჩვენი ძმები აქა ბრძანდებიან. ვაპ, რა დრო დაგვიდგა, რა დრო! გახსოვს კარკუზჯან, სოფელში რო წავიდოდი დამალული ქონების სანახავად, ასე მეგონა ბოლშევიკებს ვედარ ჩუხსწრობ ქალაქში მეთქი, ისეთ ქორებს გავიგებდი ხოლმე. ეს ჩვენი საქოც შეგმედება და მეტყვის:—გეოჯან, ნუ გეშინიან, გაზაფხულამდე ან ვიერი წაკვდება, ან მისი პატრონიო. მაგრამ ვნელამ გაზაფხულიც გალი, ზაფხულიც, ზამთარიც და ეს ჩვენი პატრონი ბოლშევიკები კი არიან და არიან.—ეპონერი რო აღარც ჩვენა გვადგება!

მაგრამ საქმი ის არის, რომ ესლა ვატყობ: დიდი უბიტკა უყავით ჩვენ თავს, რომ პირველშივე არ მივიღეთ ამეთი რჯული. მეუბნებიან:—მარც კარგი დღე არ დაგადგებოდაო, არ მოგნათლავდნენ თავიანთ რჯულზეო... რათა? იმათა, რომ დუქანი გაქვს, სახლი გაქვს, კარი გაქვს და ვაქრებში ფეხი გაქვს... მაგრამ მოხერხება უნდა მოხერხება! აი ჩვენი პეტრუზა, სულ ბირჯაში სწერს; როცა უნდა მიხვიდე, ოჩერედში დგა ვეკითხები:—რა გინდა, კაცო, აქ?.. ბეზრაბოტნი ვარო. მეცინება და ყურში ვეზნები:—კაცო, მეც ხომ შენ რჯულისი კაცი ვარ, რას მატყუებ მეთქი,—და ისიც ყურში მეზნება:—ამათ ეკლესი-

აში დავდივარ, ამათ ხატებს ვატარებ, ამათ ომეროს ელოცულობ და ჩემ საქმეს ვაყეთებო... მედაჩემმა ღმერთმა რაზუმნი კაცია! ვეზნებ:—ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ყოველდღე სიარულდ რომა მტკიც და მეზნება:— ის არი, რომ ყოველდღე აქონები იცვლება: დღეს ამ ფანჯარაში, ხვალ იმ ფანჯარაში, ზეგ ზეით ფანჯარაში, მაზეგ ისევ ქვევით ფანჯარაში, ფუტბოლი მიაჩიკეთი დახტის რაღა! ხანდახან იმსიშორედ გადახტება, რომ კვალს ძლივს ვიპოვნო ხოლმე, მაგ იცი, ნათქვამია:—შენ საქმეს სულ უკან უნდა სდობო. მეც მივდე რაღა! თვალს არ ვაშორებ. აქ ბეზრაბოტნათ ვითვლები, იქ ჩემი შვილები ჩუმად ვაქრობენ, მეც ჩუმად ვეზნარები და ასე ვკამ წუთისოფელსაო. მემრე როდემდის პეტრუზჯან? როდემდის და იქამდის, სანამ ჩვენი მამალი დაიყვილებსო. მერე როდის დაიყვილებს, კაცო? კარგია, მამაგიცხონდათ! მე ყოფა ტენის ამდენი იზნასილოვანია მეთქი.

ხეირი არ არი მეთქი თქვენში, და ის კიდევ მეზნება: რაზუმნად უნდა მოიქცე რაზუმნადო. ამაზე მეტი რაზუმნობა გინდა? ლამის ექვსი წელიწადია უძლებ! კიდევ ექვსი უნდა გაუძლოვო! ესეც ნალოვია? მაგრამ იცი რა გითხრა, მამოჯან! მე მართალს გეტყვი: ჩვენ ძველ დროში ძალიან ბევრი საგრეშენიები ექნით, პირდაპირ ჯოჯოხეთში ჩავცვივდით—მოჩნა და გათავდა! აღარაფერი არა გვეშველება—რა! ტევი გალაფა კროშკა!

ფეშანგი ფაშებერტაქი.

ყ ო ფ ი ლ ი



ლაშვილი

დღეს ცხოვრების გზას აცისკროვნებს ელექტრო შუქი.
 მე მომავლისა სიბრწყინვალეს ვერ ვუჭერ თვალბებს,
 ყოველდღე გამაქვს ეს ბაზარზე, მაგრამ ამაოდ;
 აწ ვისღას უნდა ჩემი ლამფა ნავთით, ფიტილით!..
 არავის უნდა... არც კი მკითხვს რას ვაფასებდი.
 რსევ იქნებ თუ გამომადგებს რამეში კვლავ მე?!

გამომადგება, უეჭველად გამომადგება.
 სიცოცხლის დღენი დათვლილია ხელის თითებზე.
 ვიცი: საშობზე არ მომელის არც იმ ქვეუანას;
 ჩემი გზა არის უეჭველად ჯოჯოხეთისკენ.
 გზას გავინათებ მე ამ ლამფით, როცა იქ წავალა!
 აი ამ ლამფის ერთათერთი დანიშნულება.

„უღანაშაულო“

(სასამართლოს არქივიდან)

— ბატონო მოსამართლენო!— ასე დაიწყო თავისი სიტყვა პეტრე ტიკარაძემ— დავლებული მაქვს ჩემი ამხანაგების: პაულე ხეიტისა და ქაიხოსრო სოსლანის სახელითაც მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა იმ ბრალდების შესახებ, რაც ჩვენს წინააღმდეგაა წამოყენებული და, რამაც დღეს აქ მოგვიყვანა; მე ვარ 27 წლის, გურული, აოფელ კვაჭალათიდან; პაულე ხეიტია 26 წლისაა, მეგრელი, სოფელ ლეწურწუმედან, ხოლო ქაიხოსრო სოსლანი ოსია ცხინვალიდან 25 წლის. ჩვენ თავს არც დამნაშავეთ ვცნობთ და არც ვიმართლებთ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უპარტიონი ვართ და როგორც ასეთნი— პასუხისმგებლობისაგან საერთოთ ცოტაოდნათ თავისუფალი ვართ; არც ჩავდივართ საიმისო დანაშაული, რომ ამდენი დრო და ხალხი გავაცდინოთ ამ საქმეზე. ამხანაგო მოსამართლენო! ჩვენ ერთმანეთი დავინახეთ ამ წლინახევრის იქით, ხოლო გავიცანით ორი თვის წინეთ; შეხვედრაცა და ვაცნობაც მოხდა ბირჟის დერეფანში, სამსახურის შოვნის მოლოდინში. მაშინ ერთმანეთს შორიდან ვათვალიერებდით და, თურმე, ერთი მეორის შესახებ ურთიანრათ ვფიქრობდით, რაც ამ ორი თვის წინეთ გამოირკვა როცა ერთმანეთს გული გადავუშალეთ და ფმ საერთო გეგმის შემუშავებას შევუდექით, რის შესრულებაშიც ამ საბრალდებულს სკამზე დავგვსა სამი სხვა და სხვა კუთხიდან ქალაქში გადმოხვეწილი და სრულიათ უღანაშაულო ახალგაზრდა. ჩვენ ჩვეურობით ბირჟაში, როგორც კავშირის წევრები და უმუშევარნი: ყოველდღე დავდიოდით სამუშაოს მიღებისათვის, მაგრამ ჩვენს ოჩერედს ბოლო არ უჩანდა. პირველ ბევრებში ჩვენ სამივენი მეორეს იქვის თვლით შევსცქეროდით: მე ესენი და ამათ კიდევ მე— ხან ჯიბიგირები გვეგონა და ხან კიდევ ჩეკის თანამშრომელი! შოდი და ხუ დაიქვიანდებო: ერთი თვე ლოდინი, ორი, ხუთი, ერთი წელიწადი... ყოველდღე დავდივართ, ვცლაპავთ მტკერს, ვიღანძლებით და მივიღივართ; თვლი გვაქვს, სმენა და ცოდაოდენი გონებაც. ჩვენი ლოდინის განმავლობაში, ბევრი ჩვენს მერზე მოსული გაგზავნა სამუშაოთ და სამსახურში, ზოგი რეგისტრაციას ვატარებთ ე. ი. რიგით და ამდენივე ურეგისტრაციოთ ე. ი. ურიგოთ ე. ი. შემდეგ რეგისტრაციის წესით.

ტელეფონი კარგი რამაა, კერძო ბარათიც; და ჩვენში მტყვიან, ამხანაგო მსაჯულებო, „ქალს ძალოს არ დაუყუფოსო“ და ეს სამი სამუშალება: ტელეფონი, კერძო ბარათი და ბანოვანი ადვოლის შოვნისათვის უებარი რამ ყოფილა. პო და პრაქტიკული გამოსვლით მოგახსენებთ ამას, მაგრამ ეს შორს წავიყვანდა.

ასე და ამნაირათ ამხანაგებო, არსებულმა პირობებმა და ჩვენმა პირადმა მდგომარეობამ მოამზადა ჩვენი შეგნება, დავვახსლოვა ერთმანეთს და როცა ერთმანეთი კარგათ გავიცანით— გავიგეთ; რომ ერთნაირათ თურმე ვაზროვნებთ და ერთნაირათ ვიწვით ბირჟის კედლებში; შევკარით სამთა კავშირი; რადგან ჩვენ არც ისეთ ვინმე გვეყავს, ვისაც ძალი არ დაჰყუფს და არც ნაცნობა, საქიროა გადავდგათ კანონის საწინააღმდეგო არალეგალური ნაბიჯი, ვინაიდან, თურმე, ჩვენზე დიდო კაცები ნახევრათ ლეგალურათ არღვევენ არსებულ კანონს. ე. ი. გვერდს უვლიან მას.

გავინაწილეთ შრომა: პაულე ხეიტისა უნდა მოეპარა ბირჟის ბეჭედ დაკრული ბლანკეტო, მე შემედგინა მიწე-

რილობა ერთ-ერთ დაწესებულების სახელზე ჩვენი სამსახურში მიღების შესახებ, ხოლო ქაიხოსრო სოსლანი ტელეფონით დაელაპარაკებოდა ბირჟის გამგას. სახელით დაწესებულების უფროსს ჩვენს შესახებ ასეც მოვიქვეცით და ადგილიც მივიღეთ— სამივენი სიმშალოთ სიკვდილს გადავრჩით. ჩვენ ავეყვეით, ამხანაგებო, საერთო ფერხულს, რის შესახებ უკვე მოგახსენეთ. ვიმეორებ. საერთო პირობებმა გვაძულა ასე მოვექცეულიყავით. ახლა სიტყვა თქვენზეა. გინდ გავამართლოთ— გინდ გავამტყუნოთ. ჩვენ კი ვთხოვლობთ: თუ ჩვენ საქმეს შედეგათ ჩვენი სამუშაოდან მოხსნა და დატუსალება მოჰყვება, დატუსალება ნუ იქნება პირობითი, რადგან გამსახლში უფასო ბინა და საქმელი მაინც გვექნება.

როკაპი.

„უზცირებული“



იმისი ფანარი უკულმა ჰკილია და ნაცვლად ანათებს ელექტრო დიდი. მივიდა მეფარნი... ამას არ ელოდა: მახლობლად, ვით უწინ, ესლა არ ბნელოდა.

„ვირთხევის უემოსევა“



ლიო. ცნობა. ს. ძირულა. ს. ძირულას და მის ახლოს მდებარე საწყობებს შემოერია ვირთხევი, რომელმაც ერთი შეხედვის შემდეგ დაამარცხეს მოსამსახურეები და აიღეს სადგური. ვირთხევმა გაზიდეს საწყობიდან მთელი საქონელი და ეხლა შეუდგენ ადამიანების შეკმას. ჯერ ჯერობით შეკამეს ბებერი დარაჯი გრიგოლი. ხმები დადის, რომ სადგურის უფროსი არ უწევს წინაღმდეგობას, რადგან ვირთხევმა მას შეკმით დაემუქრესო.

მინალიო.

„ხულიგანი“

ორ ბოთლ ღვინოს გუშინ ღამით უქენი ყლაპუნო; გამოველ და შუა ქუჩაში დაიფეყე ბლაყუნო.

ეოს კოპწიას გვერდი წავეკარ; მერმე უქენ განი; მან იყვირა; „მილიციელ, შეკარ ხულიგანი“.

მე გავიქეცე. მანც შეწყვიტა. მილიციის ხმობა; უკვე მივხვდი. გვერდის გაკვრა არის ხულიგნობა.

კინოს ახლოს დადიოდნენ ღამაზები წყვილად. „რაზრეშიტე სემი პაილუ“ მე ვუთხარი ტკბილად.

— შტო ტი სვოლოჟ უნას პრისტალ? სკაეი ჩტო ვამ ნადა... ისე შევეკრთი შიშისაგან დამეკარგა ძადა.

მე თეატრში შესვლა მსურდა, — და ამიტომ რიგში ბილეთისთვის მე ჩავდექი... მე შევეკურდი ფიქრში.

— ნუ ხულიგნობ აქ, ყმაწვილო! — მესმა, ხმა მწყრომარე, მიყვიროდა გულმოსული შიგნიდან მოლარე.

ფიქრში გართულს ბილეთისთვის არ მიმეცა ფული, მან მიწოდა ხულიგანი, მოუვიდა ფული.

და შევედი მე დარბაზში, სადაც იყო ბნელა, და იქ სკამზე ჩამოვჯექი მორიდებით ნელა.

„ეს რა ხულიგნობა არის! მიყვიროდა ვინმე, თურმე ჩემდაუნებურად ჩავდგომოდი წინ მე.“

უკაცრავად, მაპატიეთ — და გამოველ გარედ. რადგან იგი ვალახვითა დამემუქრა მწარედ.

ქუჩაში რომ გამოვედი, წვიმას ნელა ცრიდა; მეც გავშალე ჩემი ქოლგა, რადგან ყველა შლიდა,

ერთი ქალი მოდიოდა ელენე თუ ოლდა... შევთავაზე: რომ სველდებით ინებეთ ეს ქოლგა.

მომობრუნდა, შემომბღვირა, მითხრა: შენ უმგვანო! სადაც ჯერ არს იქ გაგგზავნი, ო, შენ ხულიგანო.

პრასტი მაღამ პაეალუსტა — ვუთხარ ტკბილი ენით, შიშისაგან წამოვედი მე იქიდან რბენით.

ბნელბნელ ქუჩით მივდიოდი სახლისაკენ ჩქარა, ვფიქრობდი რომ მე ამაღამ რაც რომ მლანძღეს კმარა.

— არ გაგიშვებ? დაიყვირებ — ხმა მესმა მე ყურში, — ალბად ვინმე ვისმეს სტანჯავს — გავიფიქრე გულში

— არა, არა, ვერ გაგიშვებ, ჩემო მტრედო თინა, წამოყევი, აქავე მაქვს მე სახლი და ბინა.

— კოტე, მე ვერ წამოგყევი, დამანებე თავი — შეგჩერდი, მსურს მოვისმინო რაა ეს ამბავი.

უცებ კოტე დაეტაკა თინას როგორც მზეცი; ვთქვი რომ თინას ზველა უნდა და მე კოტეს ვეცი.

მოგვეხმარეთ, მოგვეშველეთ, — შეიძახეს ერთად. და ორივე მე მომეკარდა, ძალზე ვასაბეთქად.

ხულიგანი დაივიკირეთ — იძახოდა თინა. კოტე ამბობს: ამან გუშინღამ გამიქურდა ბინა...

მაპატია და გამიწიშვო ისევე ბნელი ქუჩით. თვითონ კოტეს შეადლდა ანთებული ტუჩით.

ბლაყუნა.

ქუთაისი



—მოსკოვში მთელი კოსტიუმის, პალტოს, ფეხთსაცმელის და ქუდის ყიდვა შეგეძლია 10—12 მანეთად.
 —ეს ტყუილია, არასოდეს არ დავიჯერებ!
 —შეიძლება ტყუილიც იყოს, მაგრამ ხომ იაფია?

„უპატენტო“ სტუდენტებით
 კვლავ გაივსო ბალი.
 ტარტაროზჯან, კვლავ დამპყირდა
 შენი იარაღი.

ბაღში ალბათ აღმასკომში
 დაუმატებს სკამებს...
 აბა ფეხზედ დგომით იმათ,
 ხომ არ გააწამებს?!

ან და ლამით პაემანი
 რომ არ ჩაიშალოს,—
 „პოსტზედ“ დამჯდარ მილიციელს
 ძილი დაწეალოს.

ესლა კიდევ არა უშავთ—
 ძვლებია გამთბარი...
 ვის მიმართონ მაშინ, როცა
 დაღვება ზამთარზე?!

მაგრამ ვუიქრობ—ტარტაროზი
 მათ დაეხმარება,
 რათა ოდნავ შეანელოს
 მათი მწუხარება.

ტყიბულელი „ხვლიკი“.

ოკრიბა

მკისკოკოზ ლ. კახახიძის საკრებო მოგზაურობა
 ოკრიბაში და მისი უძღვებო

დავითმა გადინადირა
 ოკრიბა მთა და ბარათა,
 ჩაშოიარა სოფლები,
 მივიდა კარის კარათა.
 წინ მიეგება ხუცები,
 ჰნათე და დიაკნებიო,
 დაუკლეს ინდაურები,
 ქათმები, ცხვრები, თხებიო.

შესტირეს:—რა ვქნათ, მამაო!
 აღარ გვაქვს სმა და ქაშაო.
 • საჩუქნოება დღეს ჩვენთვის
 შეიქნა ფუჭი, ამაო!

არ ეკარება გლებები
 წირვის და ეკლესიასო;
 ოთხ-ოთხი მორწმუნენი გვეყავს,
 აგერ გიჩვენებთ სიასო...

რას ხედავს დავით?... ოთხ ბებერს...
 ჩაწერილია სიაში...
 შეწირულება კაპიკიც
 არ არის ეკლესიაში.

დაფიქრდა:—ოკრიბელები
 მაინც რამ გადარიაო!?
 რომ ღმერთი ვიყო, ოკრიბას
 დაწვანგრეც რია-რიაო!
 ნახა დავითმა არ არის
 ცხენი და არცა ეტლია;

(ავტომობილზე ხომ იცი
 აქ ლაპარაკი მეტია).

ჩაჯდა დარყეულ ურემში,
 მიარკრიკებს ხარები...
 კვირა დღე არის; ქეჟაზე
 კინელამ შეცთა ქალები.

მოსდევნ უკან და უყვირთ:
 —ნუ თუ ეს არის მართალი!
 თუ ეპისკოპოსს არ ესმის
 რჯული და ან სამართალი,

ჩვენ რაღას ჩაქცივებია.
 ხუცები გასაწყვეტო!
 ეპისკოპოზი უქმეს სტებს—
 რა გინდა ახლა მეტო!?

აწი რომ მღვდლები ვიწამოთ,
 ვიქნებით ჩერჩეტებიო,
 და აბესალომ ღირსია,
 რომ შეუთხელოთ ყბებიო.

რას დაჩერჩეტობს კარისკარ,
 რა მღვდლების სიჰინდს ხევეტავსო?!
 ბოიკოტით რომ გვაშინებს,
 ის ამას როგორ ზედავსო?!

კოლოკი.

ხელს უზღის



ომ, ეს. ზაშენი.

ს ტ უ მ რ ა თ

ცხოვრობ ქალაქის გარე უბანში ერთ პატარა სახლში ანუ ქოხში. ვარ უნივერსიტეტში სტუდენტად. ჩემს პატარა ქოხში არ არის ბევრი ავეჯიეულობა, მაგრამ რაც არის ისიც საკმარისია. კუთხეში მოდგია ერთი ველი ტახტი. ჩემდა საუბედუროთ ფენომეტრეულია და ფეხის როლს თამაშობს მაგიდის უჯრა. ერთი დანჯღრეული მაგიდა და ორი ტახტურეტკა. ლოგინათ მაქვს: ერთი ბალიში, ერთი საბანი, რომელიც ისეა დახეული, რომ, როდესაც დილით ვიღვიძებ ისე ვარ საბანში გახლართული, როგორც თევზი ბადეში. მიუხედავად ამისა ბედს მინც არ ვემდურდი.

ჩემი—სტოლზე ქალიშვილები, როგორც პატივსაცემი პიროვნებანი,—ტახტზე. მე კი უადგილობის გამო მოვთავსდი ტახტის ქვეშ, წაფიფარე დახეული პალტო და მივეცა ძილს თავი.

უხერხულათ ვგრძნობდი თავს ტახტის ქვეშ. ცალკე რწყილები და ბალღინჯოები მაწუხებდა და ცალკე მტვერი. სწორეთ ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც თავს დამატყდა უბედურება: ტახტმა ვეღარ გაუძლო ამდენ სიმძიმის დაწოლას, შუაზე გატყდა და თავზე დამეცა. წამოვარდი და ვირთხასაგით გამოვძვეერი ქვეშიდან. ქალი-



ცმაყოფილს კიევი ჩემი სვედრის (ბარემც არ ვიყავი კმაყოფილი, მაგრამ რას ვრჩამდი?) ერთ დღეს, როდესაც უნივერსიტეტიდან დალილი-დაქანცული დავბრუნდი, სახლში დამიხედენ სტუმრები: დედ-მამა და ორი ნათესავი ქალიშვილი.

დალამდა, მაგრამ არ ვიცოდი—სად მომეთავსებოდა ამდენი ხალხი. საგონებელში ჩავარდი და ვწყვედილი ჩემ გაჩენას. როგორც იქნა, ვქამეთ ვახშიმი და დავიწყეთ ფიჭრის საწოლზე. დიდი ფიჭრისა და წვალების შემდეგ, ასე დავწყეთ: მამაჩემი მოვთავსე ორ ტახტურეტკაზე, დედა-

შვილებიც წამოაკივდიენ ზეზე. სოლო დედაჩემი და მამაჩემი ისევე განაგრძობდენ ძილს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს ყოფაში იქნებოდა ბევრი ჩემი ამხანაგები. ამ ჩემთვის სამარცხენო წერილის მოთავსება „ტარტაროზში“ არ მინდოდა, მაგრამ ჩემი სირცხვილი არაფრად ჩავადე და სხვების საკეთილდღეოდ გამოვაქვეყნე. დეე, იცოდენ სტუდენტების მშობლებმა და ნათესავებმა სოფლად, რომ ბინა არა გვაქვთ,—და ამიტომაც ნუ შეგვაწუხებენ მათი სტუმრობით. თუ რამეს გამოგვიგზავნიან, სხვას გამოატანონ; თვითონ კი ნუ ჩამოდიან.

წი(6)და.

ს. საყუდისთავი

ამ სოფელს ეპატრონება მასწავლებელი ვასოა, მინდა ამ პაწა წერილით საკმაოდ შეეფასაო.

ინტრიგა, შური და მტრობა მისი ხელობა გამხდარა; სოფელი სოფელს წაჰკიდა, თვითონ კი გვერდზე დამდგარა.

ჯომკაეშირის ებოაუჭება, (იქვიც არვის აქვს იმაში),— მაგრამ ღმერთების სურათი გამოკრული აქვს ბინაში.

ის თვითონ პროკურორია, ვეჭილი და თან მსაჯული; ვერცინ უბედავს სიტყვის თქმას— გლეხები მისგან ტახჯული.

ახალ მთვარეზე ერთ კუთხეს ემხრობა, უჯებს სკოლასა, მაგრამ რა მთვარე იცვლება— მისდევს სამსონს და კოლასა.

ორი ხის სკოლა დაინგრა ორივე მისი გმირობით; სამი წელია კრებებიც კი მართა კვირა-კვირობით.

დადის და გვერდით დაყვება, მისი გაზრდილი მურთა;

ამნაირ მასწავლებელით ნეტა რა ს იზამს გურია?)

მას გვერდში უდგას სამსონი ის ერთი კუ:ზას ვეჭილი, ინტრიგანი და ცბიერი „საქმეში“ გამოქეჭილი.

ტარტაროზ, შენი მორჩილი გთხოვთ მხოლოდ მარტო ამანჯა ზადან შენ მიჩვეული ხარ ყველა ოხრების ქამასა—

მოდი და პირი ჩაიტკებ ამ მონადღვენი ხილითა, ზოგი ჩინგალით მშობრთვო, ზოგი აკუწე კბილითა. **ხლიკვი**

„შეითვისა“

რის ვაი-ვაგლახით გავათავე ცხრაწლელი და ავიღე „შეითვისა“ ატესტატი. ბევრი გვაშინა გამგემ, თუ კოლოკეიუმებში ჩაიჭრებით, „მოისმინა“ მოწმობას მოგცემთ და აღარსად აღარ მიგიღებენო, მაგრამ... წლის ბოლოს ყველას „შეითვისა“ მოგვარტყეს და გავვიშვეს. წინდაწინ ვიცოდი, რომ გამოცდებს ვერ ჩაებაბარებდი. ასეც მოხდა.

გავაშვანშვალე წერილი და გავუგზავნე მამას. ესწერდი! „მამა-ჩემო! უნივერსიტეტში გამოცდები კარგად ჩაებაბარე. პროფესორებმა მითხრეს: კარგი მცოდნე ყოფილხარ და უნივერსიტეტისთვის აღარ გაგაცდენთო“—მამინვე მამცეს „ზემლეერობა“*) თვეში ჯერ-ჯერობით ხუთ თუმანს ვღებულობ. ერთი თვის მერე მამამატებენ. მარა ჯერ არ იძლევიან ჯამაგირს და ამიტომ ოცი მანეთი გამომიგზავნე. მერე მე ვიცი.

შენი კოსტა.

ორ დღეში მომივიდა პასუხი:

„შვილო კოსტა! კაი დაგემართოს, კაი საქმე შენ მოგსვლია. ახლა შეილო, აქეთ „მერჯევანია“ მოდის და ეცადე შენ წამოყვე, რაკილა „ზემლევერა“-თ ხარ, პაწია მიწას მამიზომამ. მაგ ხუთ თუმანიდან ნახევარი მე გამომი. ზაენე, ხუთი მანათი ბინის ქირა მიეცი. ხუთი მეპურეს-დანარჩენი ხუთმეტრი მანათიდან, ერთი საჩოხე შალი იყიდე და გამოგზავნე. რაც დაგარჩეს, შენ შეიხმარე შეილო; ახალგაზრდა კაცი ხარ“.

შენი მამა ალფეზი.

ქვევით დედაჩემს გაეპრელებია:

„ჩემო შეილო! შენ შემოგველოს დედა-შენი. ერი რამდენიმე მანათი გამოაძვრე მაგ ხუთ თუმანს და ერთი საკაბე ჩითი მიყიდე. ასე, დაგენაცვლოს დედა-შენი“.

ამას წინათ გავიგე, რალაც აღწერა არისო და იქ იღებენ სამსახურში ახალგაზრდებსო. დავტრიალდი. ამხანაგმა მითხრა:—პარასკევს მისაღები ანკეტები უნდა შეევაესოთ; დიდი „ოჩერედი“ იქნება და ადრე წავიდეთო.

ფეოდოსის ქუჩაზე ვცხოვრობ. პარასკევს დილას ჩამოვედი რუსთაველზე დროს გასაგებათ. შევხედე ფოსტის საათს. ექვსის ნახევარია.—ჯერ რა დროსია—ვიფიქრე და დავბრუნდი ისევ სახლში. გავიდა კარგა ხანი და ჩამოვედი ისევ რუსთაველზე. შევხედე საათს. ჯერ ვერაფერი ვერ გავიგე; მზე აშუქებდა და ორივე ისარს ჩრდილი გაეყენებინა ციფერბლატზე. ასე რომ საათზე ოთხი ისარი იყო. უტრიალე ხან აქიდან, ხან იქიდან. ქვეშიდანაც შევხედე. ფეხიც არ მოუცვლია. ისევ ექვსის ნახევარია.

ახლა კი შემოვიკარი თავში ხელი; დაეკარი ქუჩას დაგლეჯილ ბოტინკებს და თავისუფლების მოედანზე ავედი, შევხედე საათს: ცხრის ოცია გასული. ჩემი ცოდვა მიეცეს ფოსტის საათს!..

მთელი განოვის ქუჩის სიგრძეზეა გაყოლებული რიგი. ჯერ წინ ვცადე შეძრომა, მარა კინწიხკერით გამოიპაგდეს. მერე აყვევი და ლერმონტოვის ქუჩაზე მოვები კუდს. რომ მომწყინდა დგომა, ჩაუყვევი ქუჩას და ერთ ად-

* ეს-კი ტყუილი არ ფერა, ქუჩის მხოველი ჩემისთანა სხვა არ იქნება.

გილას შევძვერი შეუმჩნეველად. მივიხელ-მოვიხედე, ახლოს ვარ ხარებთან. გავიდა ხანი—გაილო კარები... იგრიალა ამ ხალხმა და შეცვინდენ.

— აბა, კოსტა! ახლა გამოიჩინე შენი ნიჭი! სირბილში ხომ სპეცი ვარ...

პატარა კარიდორში შეჯგუფდა ხალხი. და მე შიგ შუაში მოყვევი... მოვისვი თავზე ხელი. ქული სადღაა?! ქული რომ მოვნახო, რიგს დაეკარგავ, ისევ ქულის დაკარგვა ვამჯობინე.

გავიდა ორი საათი.

გამოვიდა ვილაც და განაცხადა, ანკეტები აღარ არის და გთხოვთ სახლში მიბრძანდეთო. ვაი შენს კოსტას! არ შეგქამათ მიწამ, ხალხი ყურს არ იბერტყავს. რამდენჯერმე გამოაცხადეს; განცხადებაც გამოაჯერეს, ერთიც არ წავიდა.

ბოლოს დავიშალენით.

ქუჩაში ყველა მიყურებს და იცინიან.

— მიკვირს რა უნდა მქონდეს სისაცილო. ალბად ქული რომ არ მხურავს! პოეტი თუ ვგონივარ ყველას. მაგრამ უქულო ბევრი დადის ჩემს გარდა... რატომ იმათზე არ იცინიან?

სიცოლის მიზეზს მამინ მივხედი, როცა სახლში მივედი და ხალათი გავისწორე. ჩემი საწყალი ხალათი კისრიდან დაწყებული ბოლომდე დაფხრეწილა და დახეული პერანგი გამოიყურება გარეთ.

ერთი კარგი აზრი მამივიდა: პოეტობა უნდა დატიწყო. მისი მამა ვაცხონე, ვილაცას უთქვამს: ძღვომარეობა ქმნის შეგნებასო.

ქული მაინც არ მაქვს. თმა ბერივით მაქვს მოშვებული (გასაპარსი ფული არ მაქვს). რითი არ ვარ პოეტი?

ჩემისთანა უსაქმო თხილამურიც არ არის. რუსთაველის პროსპექტი სულ გამოთვლილი მაქვს რამდენი ნაბიჯია.

მოდო და ნუ გახდები პოეტი!..

საშა.



— ეხლა შენი შვილი სად იმყოფება?
 — რა ვიცი, რა! ამ თხუთმეტი წლის წინად პეტერბურგში იყო; მერე სადღაც პეტროვგრადიდან მწერდა. ეხლა ლენინგრადში მსახურობს.
 — ბედნიერი დედა ყოფილხარ: შენ შვილს მთელი რუსეთი უნახავს!



ო უ მ ა ბ ი მ

ა ნ დ ა ზ ი ს ბ ა მ ა რ ი თ ლ ე ბ ა

მ ს მ ე მ ა ნ ა ხ ი მ ...

ლანირ-ქუტილიდას გალინგი გვწერს სამკითხველოს გამგებე: სამკითხველოს დაკეცს და... გასაღები ჯიბეში. კვირაში ორი-სამი დღე ჩვენს ივანეს შაბაში.

კვირაში ორი-სამი დღე შაბაში ცოტაა... და ამიტომ ტარტაროზი შუამდგომლობს რაათ ივანეს კვირაში შეიღი დღი შაბაში მიეცეს.

ღ ა ბ ა ნ ე უ ლ ი ჩ ა რ ო ვ ნ ა ე ს ი .



აი ეს ჩერვონეცია ათეისტმა გაუგზავნა სოფელში დედას. ეს ორი თვის წინეთ. ფული ჯერ კიდევ არ მისულა თავის ადგილზე. მიზეზი გამოურკვეველია. თვითონ ათეისტს რომ დავუჯეროთ, საფოსტო განყოფილების ბრალია, რადგან დედამისი თურმე ასე სწერდა შეილს:

არ გამოგზავნო, იცოდდე, სოფელში ფოსტით ფულია... დაიგვიანებს ორ-სამ თვეს, ცდაში წამივა გულია.

ურწმუნო კაცია ათეისტი. ექვი შეუვიდა დედის სიტყვებში და თვითონ მივიდა ფოსტის განყოფილებაში:

მე გამგესთან შევირბინე რომ გამგეო შინაარსი.

ტარტაროზო, შეიხედე იქ ხალხი ზის მეტად თარსი.

ჩვენ აღარ ვიცით თუ ვინ არის დამნაშავე, რომ ეს ჩორვონეცი ჯერ კიდევ არ მიუღია სოფელში მოხუც ქალს? იქნებ თვითონ ჩერვონეცია დამნაშავე? მას არ უნდა, იქნებ, დაინარჯოს და ფოსტის განყოფილებაში იმალება ამდენ ხანს?.. შეიძლება ეს ასეც იყოს, რადგან იგი უმუშევარს ეკუთვნოდა.

არის ახდაზა: უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებენო. აი ეს ახდაზა საეხებით: გამართლებულია სვირში. მკითხველს ალბად კიდევ გაუკვირდა, თუ როგორ მოხდა, რომ ჩვენში ძაღლების ნაკლულოვანება. სოფლად კი არა, ტფილისშიც შეუძლებელია ქუჩებში უშიშრად გავლა ისე გამრავლდენ ავი ძაღლები. (მეტადრე განაპირა უბნებში), მაგრამ მაინც ასე ითქმის, რადგან, როგორც სოფელ ზემო - სიმონეთელი ჩხარისპირელი გვატყობინებს იქ მოლარედ ყოფილა კოჩიაა, რომელმაც

ანგარიში სულ არ იცის, ჩოთქი ჯერ არ უნახავს...

ჰო-და თუ კი ასეა, რატომაც არ გამართლებულია ახდაზა: უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებენო.. და მერე ვინ აყეფებს იციოთ?.. გამგე... (ალბად გამგეზედაც ითქმის ეს ახდაზა).

ფ ო თ ე ლ ი ვ ა მ ი ლ ი

ეს ამბავი მოხდა ფოთის სამამართლოში, სადაც მეზღვაურების საქმე იჩრეოდა, და ამბავი კი ასეთია, როგორც უთოუ გვატყობინებს:

ხალხი იყო უამრავი, გაიშართა დიდი დავა. ყველას აინტერესებდა მათი საქმე როგორ წავა.

მაგრამ საქმე ისე წასულა, რომ გადასულა დამცველ ვეკილებზე.

დარჩენ შიგნით ორი გმირი, დატრიალდენ წარამარა.

კირტას ბედმა უღალატა— შეასკუპდა საბახტარა.

მაგრამ კირტაძე აქ თუ დამარცხდა, სამავიეროდ სხვაგან არის კაი ბიქი.

ხალხის ცემას და წამებას ის უწოდებს ფიჭულტურას.

აი, განათლებული ვეკილიც ამას ჰქვია. კაცს ფიჭულტურა თავისებურად ესმის.

თქვენ ალბად ყველას გინახავთ, როცა ქათამი ვარბის... მაგრამ, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ ჯერ კიდევ ერთხელაც არ გინახავთ, როცა:



შ ე მ წ ვ ა რ ი , მ რ გ ვ ა ლ ი დ ე დ ლ ე ბ ი პ ი რ ის კ ე ნ მ ი ხ ა რ ა ნ .

გამგე და მისი მოლარე ორივე იქა არიან.

აი, სასწაული ამას ჰქვია. ექვი არავის შეგეპაროთ, რომ ჩვენ ამას ესტუოდეთ... და თუ ვინმეს ექვი გეპარებათ, ჩვენ დაგისახელებთ ავტორსაც, ადგილსაც და სხვა რამესაც. ეს ამბავი მოხდა წყალტუბოში, სადაც არის კოოპერატივი, რომელშიაც ნოქრად არის ერისტო და გამგეთ კი... მაგრამ რა საქირია დასახელება...

თუ მაინცა და მაინც გაინტერესებთ, ჰკითხეთ ამ წერილის ავტორს: „რა ვქნათ?“ რას ფიქრობთ? აქ ბევრი არ არის საფიქრებელი და სრულიად ზედმეტია თავისთვის ასეთი საკითხის დასმა: რა ვქნათ? რა უნდა ვქნათ-და კოოპერატივი განსწმინდეთ ქათმების მოყვარულებისაგან.



ე ვ ი ზ ო ლ ი

არ იცოდა ცხენის ფასი
 რა ღირს იყო ის ქვირფასი...
 ესლა მიხვდა: კარგი ცხენი რომი არის შველაფერი,—
 რაღბან მარღათ გაიქცევი როცა მოგღვეს უკან მბმარი.



შიშინსაგან ვერც გაიგო როგორ მოხდა შველა ესა;
 მიწაზე რომ ბრახვანი ჰქნა სიფრისაგან დაიკვნესა.
 ესლა მიხვდა რომ ვიღაცამ მას აჯახა სილა-ტკაცვი.
 თვით ძირს ეგღო, მის ცხენზე კი შემოჯდასიჟო
 ჯარის-კაცი.



განგანობა

№ 77

კვირა 5 დეკემბერი 1926 წ.

№ 77

“ინგლის მემალაროეთა გაფიცვა მუშათა პარტიის მემარჯვენე ბელადების წყალობით იამარცხდა”



გოლდუინი (მემალაროელ მუშას ნიშნის მოგებით): მაშ რა გეგონათ! ჩვენთან თქვენ რას გახდებით, რადცა მაკლონალი ჩვენი მარჯვენა ხელია!

მარკოზის სიყვარული

მარკოზს გაგიჟებით, თავდავიწყებამდე უყვარდა...
 თქვენ გგონიათ, რომ მარკოზს უყვარდა თვალუფეთ-
 ნა გოვონა? არა?! თქვენც არ მომიკვდეთ!

მარკოზს უყვარდა რა-რა ზოლოთუციები...

გაგიჟებით უყვარდა ზოლოთუციების შედგენა და ცითხვა.

თქვენ შეგიძლიათ ეხლაც მიხედოთ მასთან და დარ-
 წმუნდებით, რომ მე მართალს ვამბობ.

მთელი ოთახი საცხეა ხელნაწერებით, საწყობია ქა-
 ლადისი.

1905 წლიდან რაც რეზოლიუცია დაუწერია, ყველა
 შენახული აქვს.

მთელ უბანში მარკოზი ცნობილი იყო, როგორც რე-
 ზოლოთუციების მწერალი.

ყოველთვის და ყოველგვარ შემთხვევისათვის მზად
 ჰქონდა მას რეზოლიუცია და უნდა გენახათ, როგორი ექს-
 ტანზით, როგორი გატაცებით და სიყვარულით კითხულობ-
 და მათ სხვას არასოდეს ანებებდა თავის რეზოლიუციის
 წაკითხვას.

— დამიმახინჯებს, ყმაწვილო, რომელიმე სიტყვას
 და მთელს ნაშენობას ნაცარ-ტუტათ მიქცევს,—ამბობდა.

ყველა კრებაზე, მარკოზი თუ იყო იქ, რეზოლიუციი-
 სათვის სიტყვა მას ეკუთვნოდა...

და განა მართო კრებებზე?!

მახსოვს ერთხელ მეგობარი მომიკვდა და დასაფლა-
 ვებაზე ვიყავით.

რა თქმა უნდა დასაფლავებაზე მეგობრებმა სიტყვა
 წარმოსთქვეს, აქვს, აღიღეს განსვენებული. ჩამოსთვალეს
 ყველა მისი თვიატება. ზოგი მოკორეს. ზოგიც მართალი
 სთქვეს. (მიცვალეზოლზე ცუდს არას იტყვიან).

ხალხი უსმენდა... იკრემლებოდა... არშიყოფდა...
 იცინოდა როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე დასაფლავე-
 ბაზე.

ჩვეულებრივი მოვლენაა: ამ ქვეყნად ერთი კვდება,
 მეორე ცოცხლობს.

ადამიანი ისეთია, რომ პირღია საფლავის წინაშეც არ
 იტეხს იხტიბარს.

ერთს რომ დარდით გული მისდის, მეორე სწორედ
 მაშინ იწყებს არშიყოფას. მოხერხებულ დროს საფლავის
 პირზე პოულობს.

... ვამბობდი, რომ სიტყვებს ამბობდენ მეთქი. ყვე-
 ლა რომ შორხა, თავის მოვლულობა მოიხადა და თითო ორ-
 ოლა თბილი სიტყვა ჩაატანა მიცვალეზულს ცივ სამარეში,
 მარკოზს გამოჩნდა...

— მოქალაქენო,—დაიძახა ჩვეულებრივ მკვირცხ-
 ლად და თეთრ წვერზე ხელი გადაუსვა,—ჩვენ მოვისმინ-
 ეთ აქ მრავალი სიტყვები, რომლებშიაც განსვენებული
 ზედ მიწვენით არის დახასიათებული. რადგანაც სიტყვები
 ამოწურულია, საქირა...

უკვე ვიცოდი რასაც იტყოდა. ვაგწითლდი, მის მა-
 გიერ მე შემრცხვა.

გავიპარე...

მეორე დღეს მარკოზს ქუჩაში შემხვდა. ჩვეულებრივ
 გამაჩერა. მხარზე ხელი დამკრა...

— ჩინებული რეზოლოთუციაა, ყმაწვილო, თავი არ
 მომიკვდება ჩინებული.—მითხრა, ჯიბიდან ოთხად დაკე-
 ცილი ქაღალდი ამოიღო და წამიკითხა:

„მოისმინა რა მრავალი სამგლოვიარო სიტყვები ახალ
 გარდაცვალებულ კარპიდონ ხუტუასძე ხუტიცხვირიაშვილი-
 სის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ის ფაქტი, რომ
 განსვენებული, როგორც ეს გამოირკვა სამგლოვიარო სი-
 ტყვებიდან, რომლებიც მრავლად იქნენ წარმოთქმულნი
 მისი დაკრძალვისა და შავ სამარეში ჩაშვების წინაშე, იყო
 ცაკი ფორად სათნო, მაღლიანი, პატროსანი, საქმის ერთ-
 გული, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში უმწყილო

და აგრეთვე იმასაც, რომ ასეთი კაცის დაკარგვა საზი-
 ნოა და სამწუხარო, როგორც განსვენებულ კარპიდონ
 ხუტუასძე ხუტიცხვირიაშვილი ოჯახისათვის, ისე მთ
 უმეტეს ახალ სოციალისტურ აღმშენებლობაში მყოფ მუ-
 შათა და გლეხთამქდრო ავშრზედამყარებულ სახელმწი-
 ფოსათვის, რომელიც მუშაკთა დიდ განკლებობას განიც-
 დის, მით უმეტეს გამოცდილისა და საქმისადმი ერთგუ-
 ლისა,—კრება მწუხარებას გამოსთქვამს მისი დაკარგვის
 გამო.

„ითვალისწინებს რა იმ მდგომარეობას, რომ ჩვენში
 კიდევ არსებობენ ობიექტიური და სუბიექტიური პირო-
 ბები, რომლებიც შესაძლებლად ხდიან ისეთ სასარგებლო-
 და უნარირანი ადამიანების სიკვდილს, როგორიც არის კარ-
 პიდონ ხუტუასძე ხუტიცხვირიაშვილი,—კრებას საქიროდ
 მიაჩნია საქირო ღონისძიებათა გატარება ამ მიზეზების
 აღმოსაფხვრელად და ასეთ არა სასურველ მოვლენათა
 თავიდან ასაცილებლად მომავალში.

კრება გამოდის რა ზემოდ თქმულიდან, წინადადებას
 აძლევს სათანადო ორგანოებს სათანადო ზომები მიიღონ
 აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად. პრაქტიკულ ღო-
 ნისძიებათა გამოსაძეგნებლად არჩეულ იქნას საგანგებო
 კომისია“

წაკითხვა. გამარჯვებული კაცის პოზა დაიკავა და
 ამაყად შემობრუნდა.

— ერთხმად მიიღეს, თავი ნუ მომიკვდება. ბოშო, ჩემ.
 მიერ დაწერილ რეზოლიუციას წინ რა დაუდგება ერთი
 მითხარი.—დაუმატა და კიდევ შემობრუნდა.

ალბად მიხვდებით, რომ რეზოლიუცია სასაფლაოზე
 იქნა გამოტანილი. რა თქმა უნდა, ერთხმად ან და უკეთ.
 ის მიღებული იქნებოდა უხმოლ...

მარკოზს რეზოლიუციები კატეგორიულად ჰქონდა
 დალაგებული. ყოველგვარ შემთხვევისათვის მზად ჰქონ-
 და მას სათანადო რეზოლიუციის ნიმუში.

ერთ „მშენიერ დღეს“ მარკოზმა სამუდამოდ მია-
 ტოვა რეზოლიუციების წერა.

ის საბედისწერო დღე ღრუბლიანი გათენდა, მარკოზს
 დილიდანვე ენიშნა, რომ დღე უმარცხოთ არ ავთაადე-
 ბოდა, ჯერ იყო და დილა ადრთან მარკოზს რძე შეუსვა
 მეზობლის შვიმა კატამ. გაბრაზებულმა მარკოზმა აკატა
 რაც მოჰყვა ხელში ის ესროლა და უკან გამოუდგა; ეს
 რაღაცა მარკოზის ჩიბუხი აღმოაჩნდა, რომელიც, რასა-
 კვირველია დაიმსხვრა. მარკოზს კი ფეხი გაუტედა და ლა-
 ხათიანად გაიშხალთა დერეფანში, რამაც მეზობლებში
 სიცილ-ხარხარი გამოიწვია. სახლიდან მარკოზს გაბრაზე-
 ბული გავიდა. ოციოდე ნაბიჯი არც კი გადაედგა, რომ
 სხვა ოსიამოვნება შეხვდა: მეორე სართულიდან ვილაიამ
 წყალი გადმოუღვარა და მარკოზს ზედ ზურგზე დაასხა.
 ტრამაჟის გაჩერების ძებნამ ხომ სულ გადაიტანა ეს დარ-
 ბაისელიკაცი. რონოდაში რომ ჩაჯდა, რეზოლიუციის წე-
 რა დაიწყო, სადაც მილიციას საყვედურს უცხადებდა,
 იმის გამო, რომ კატებისა და ქუჩებში წყალის გადმოღე-
 რის წინააღმდეგ არავითარ ზომებს არ იღებს, ხოლო აღ-
 მასკომს ტრამაჟის გაჩერებათა წამ და უწყემ ტრიალისა-
 თვის. რეზოლიუცია ვერის ხიღზე ქარმა წაართვა და ქუ-
 დიც თან გაიყოლა.

ერთი სიტყვით ის დღე რაღაც უკუღმართოდ დღე გამო-
 დგა.

სადამოზე იყო სხდომა. ე. ი. თანამშრომელთა სა-
 ერთო კრება. კრებაზე ჩვეულებრივ იყო ხოლმე მოხსენე-
 ნები, შეკითხვები, კამათი და რეზოლოთუცია. რეზოლიუ-
 ციებს რასაკვირველია მარკოზს სწერდა. სულ რაღაც ათი-
 ოდე მოხსენება ჰქონდა მოსმენილი კრებას და ამდენივე
 რეზოლოთუცია იყო გამოტანილი.

მეთერთმეტე საკითხად იდგა მოხსენება საფურთხებ-
 ლების შესახებ, ე. ი. დაწესებულებებისათვის საფურთხებ-

მ ე ლ ა ს ა რ ა კ ი



— კაცს გული წაუვიდა... წყალი მოგვაშველეთ...
 მთვრალი: არრა... წყაალი არ მინნდა... ისევე ღვინო მმომიტანეთ და...

ლის შეძენის საკითხი. მახსოვს, მომხსენებელი მუშტს ურ-
 ტყამდა მაგიდაზე, სვამდა წყალს და ლაპარაკობდა ხაზებ-
 ზე, წერტილებზე და „რეიმ ეკონომიაზე“. მოხსენება
 რომ მორჩა, მარკოზმა ჩვეულებრივ აიღო სიტყვა.

„ძონისინა რა მოხსენება“... დაიწყო მან, მაგრამ...
 ვილაც წამოღდა და დაიყვირა.

— გეყოფა, კაცო აძენი რეზოლიუციები. ლამის
 არის დაეინარჩობით. გამგე აქ არის, უთხრათ და შეიძენს,
 რა საჭიროა აძენი ა... და დაეიდარება.

— მართალია, მართალი, იგრილა კრებამ და პირვე-
 ლად თავის ცხორებაში მარკოზს აღარ დაამთავრებინეს
 ჩინებულად შედგენილი რეზოლიუცია... რეზოლიუცია,
 რომელშია იყო „მოინა...“ „შესაფალიც“, „მიიღო
 რა მხედველობაშიც“, ითვალისწინებს რა“-ც, „ძირს უსუ-
 ფთაობა“-ც და სხვა.

თვით მიხედვებით, თუ რა ხასიათზე დადგებოდა მარ-
 კოზი.

მას შემდეგ მარკოზს რეზოლიუცია აღარ დაუწერია.
 მიზეზი თუ ჰკითხე თორ წვერზე ხელს გადაარობს,
 ყალიონს გააბოლებს და სეკდიანი კილოთი გიპასუხებს:

— მაგათ რა იციან, ყმაწვილო, მუშაობის წესი და
 რიგი. თავი და თავი რეზოლიუციაა. რა სჯობია, ერთი მი-
 თხარით, კარგად შედგენილ რეზოლიუციას. არ მესმის,
 ღმერთმანი, ურეზოლიუციოთ როგორ შეიძლება რამე გა-
 კეთდეს!

— კი მაგრამ საფურთხებლების შეძენას აღად
 უნდა რეზოლიუცია?!—თქვენ ეს წამოცდათ. მარ-
 კოზი გაკვირებით შემოგხედვს და უხმოდ მოგცილ-
 დებათ. შემდეგ ნულარ ელით მისგან სალაშს.

თუ თქვენ მარკოზთან კეთილი განწყობილება გსურთ
 შეინარჩუნოთ, გირჩევთ: რეზოლიუციებზე მასთან ლაპა-
 რაკს ნულარ ჩამოაგდებთ.

ხოზიკა.



რასაც გასცემ შენია, რასაც არ დაკარგულია

ავქსენტი (რასაკვირავს გვარის გამომეღვინება) მეტად სიმპატიური და სასიყვარულო პიროვნება იქნებოდა, რომ ერთი ცული ზნე არ სჭირებოდა, რითაც, ერთის მხრით ბევრ უსიამოვნებას აყენებდა თავის თავს, და მეორეს მხრით სახელს უტეხავდა შოთა რუსთაველს.

გაიცნობდა თუ არა ვისმეს ავქსენტი, სამი დღის განმავლობაში დაუღალავად ევლებოდა თავს, მეოთხე დღეს დაღვრემილი გამოეცხადებოდა თავის მსხვერპლს და რამოდენიმე მანეთს თხოვდა, თანაც სისწორით დაუნიშნავდა ვალის დაბრუნების დღეს და საათს.

მართლაც, დანიშნულ დროს ავქსენტი კაპიკს კაპიკზე ჩააბარებდა ვალს ნაცნობს და სარგებლის ანგარიშში მახლობელ სამაგიტროში წაათრევდა კიდეც.

რამოდენიმე დღის შემდეგ ავქსენტი კიდეც უფრო დაღვრემილი გამოეცხადებოდა ნაცნობს და ეხლა უკვე ხუთ იმდენს თხოვდა და დღესა და საათს ეხლა წუთსა და წამსაც დაუმატებდა.

რალა თქმა უნდა, ამის შემდეგ ავქსენტის სამუდამოდ ავიწყდებოდა ვალიცა და ნაცნობიც.

და როდესაც, ბოლოს, მოთმინებიდან გამოსული მევალე კუთხეში მიიწყდებდა ავქსენტის, ეს უკანასკნელი კი ასეთ შეკითხვებით მიმართავდა თავის სულთამბუთავს:

— დამაცათ... ერთი რამე მინდა გკითხოთ... მიგაჩნიათ თუ არა თქვენ შოთა რუსთაველი გენიოსად, და საერთოდ რას აზრისა ხართ მის „ვეფხისტყაოსანზე“?

— რუსთაველი არაფერ შუაშია, ბრახობდა სულთამბუთავი, ვეფხისტყაოსანთან მე საქმე არა მაქვს!..

— ნუ ჯავრბობთ... როგორია თქვენი შეხედულება მაინც. გეპარებათ თუ არა რაიმე ეჭვი სულმნათ რუსთაველის ბრძნულ აზრებში?..

— კარგი... ჯანდაბას შენი თავი... ატ მეპარება... მერე?..

— თუ გემხსობოდა, შოთა ამბობს: რასაცა გასცემ შენია, რასაც არ დაკარგულია... მოითმინეთ და თქვენც დაგიბრუნე თქვენი..

ამგვარად, ავქსენტი თუმცა ლიტერატურის არ იყო და „ვეფხისტყაოსანი“ არც კი ქონდა წაკითხული რიგიანად, მაინც საკმაოდ უტეხავდა სახელს რუსთაველს, რადგან ვალების გადახდაზე არც კი ფიქრობდა.

ერთ დღეს მოუყარა თავი ავქსენტომ თავის მევალეებს და ასეთ სიტყვებით მიმართა მათ:

— ამხანაგებო და მეგობრებო, სხვა და სხვა გარემოებათა გამო, მე იძულებული ვარ, თუ სამუდამოდ არა დიდი ხნით მოვშორდეთ თქვენ და რამდენად ძნელი არ უნდა იყოს ეს ყოველ პატიოსან პიროვნებისათვის, განსაკუთრებით ძნელია ეს ჩემთვის. რადგან ჩემი წმინდა სინდისი მჭეჯნის და მოსვენებას არ მაძლევს დღე და ღამე..

— ამხანაგებო, მე გეკითხებით თქვენ და მიპასუხებთ გულწრფელად: მისესხებია თუ არა მე თქვენგან ფული?

— მაშ არ გისესხებია?..

— კარგი... მომირთმევი თუ არა პირველი სესხი დაწინიულ დროზე წუთით?..

— მოგირთმევი!.. მერე?..

— ამის შემდეგ ნასესხები აღარ დამიბრუნებია ხომ?..

— არ დაგიბრუნებია, მაგრამ სად ჩაძვრები!..

— მართალია... ამიტომ მე გარდაწყვეტილი მაქვს დღესვე დაგიბრუნოთ ყველას თავთავიანთი ვალები, რომ ამ განშორების ჟამს წარსული უსიამოვნებანი სამუდამოდ ჩაბარდეს წარსულს..

აქ გაბრწყინებულ თვალებით ავქსენტომ ჩაიყო უბეში ხელი, ამოიღო ქალაქების თხელი დასტა და ამაყად დასდო მაგიდაზე.

— ამხანაგებო, მთელი ექვსი თვის განმავლობაში საიდუმლოდ და მთელი ექვსის ფარულად ვაგროვებდი მე ამ ფულს. ვინ იცის რამდენი სადილი გადამიტარებია მართო ხმელ პურზე და უმ წყალზე, რომ როგორმე ეს მცირე თანხა შემეგროვებია და სამუდამოდ განვავისუფლებულიყავი თქვენს ვალებისაგან... უნდა გამოგიტყდეთ, რომ დღევანდელი დღე ასჯერ უფრო სასიხარულოა ჩემთვის, ვინამ თქვენთვის. დღეს ჩემი სახელის და პატიოსნების აღდგომაა, დაბადება და აღორძინება, გაშლა და აგაფურჩქვნა!..

მევალებები ერთმანეთს უცქეროდნენ.

ავქსენტის მიერ ვალების გადახდა ეს ისეთი უცნაურობა რამე იყო, რომ არავის სჯეროდა,

მაგრამ, როდესაც ავქსენტომ ყველას თავთავის ჩაუთვალა, ყველა დარწმუნდა, როგორ პატიოსან პიროვნებასთან ქონდათ საქმე.

— მეგობრებო, მიმართა ავქსენტომ ისევ თავიანთ ნაცნობებს, ნიშნად წარსულის დავიწყებისა და ჩვენი შერიგებისა, გთხოვთ დღეს საღამოს მოზრძანდეთ ჩემთან პატარა ვახშაშზე... თითქმის ჩაიხე... თუმცა ბევრით ვერაფრით გაგიძახისძილდებით, მაგრამ, ხომ იცით, გულწრფელი გულით მორთმეული ასჯერ უფრო დასაფასებელია... არა... უარს ნუ მეტყვით... მე მსურს, რომ ეს ვახშამი სარგებელი იყოს იმ ნაღდ ფულისა, რომელიც ამდენი ხნის შემდეგ, ვეცადე და უკახვე დაგიბრუნეთ...

იმ საღამოს ყველანი ავქსენტის გამოფხეცილ ბინაზე შეიკრიბნენ.

სუფრაზე სამი ბოთლი ღვინის, კალბასის და ცოტათი მწვანის გარდა არაფერი სჩანდა.

პირველი ჭიქა, თვითონ ავქსენტომ აიღო.

— ძებო, (ნება მომეცით დღეს ასე გიწოდეთ) ეს პირველი ჭიქა მე მსურს დავლიო იმ სულმნათ პიროვნების სადღეგრძელოდ, რომლის ნათელი აზრები რვა საუკუნის შემდეგაც გვინათებენ ბნელ გზას. მაშ ეს ღმერთმა ადლებგრძელოს ჩვენი შოთა, უკვდავ ვეფხისტყაოსნის და მწერის..

გამიართა ჭიქიფი. აღნიშნულ სამ ბოთლიდან ყველაზე მეტი თვითონ ავქსენტის შეხვდა.

ბოლოს, როდესაც გამომშვიდობების დრო დადგა, მასპინძელი ირსად სჩანდა.

ვილაცამ აღარ დაიწყა ლოდინი და შინ წასვლა მოიპსურვა.

როდესაც წინა ოთახში გამოვიდნენ, საკიდებელზე პალტოების ნაცვლად ასეთი წარწერა დახვდათ ჩამოკიდებული:

რაც უნდა სთქვათ, შოთა მაინც მართალია. დარწმუნებული ვარ, რომ მისი ბრძნული აზრები აწიცი საკმაოდ გამინათებენ გზას*)

თქვენი ავქსენტო
სინემატი

*) აღბად გამსახლისაქენ.
ტარტაროზი.

დღიურიდან

„რომის პაპა ეცნობა რადიოს სპეციალისტების ხელმძღვანელო ბით“

ვიყავ „ზაგმუკზე“...
 ვნახე „დისპუტი“
 სულ მთლად დამებნა
 მე გზა და „პუტი“:
 ასმეტელმა სთქვა:
 — ვართ ყველაფერი;
 თეატრს უცვალეთ
 ნირი და ფერი...
 წავიდა კოტე?
 არც მე ვარ ბოთე...
 ყური დამიგდემ,
 ჩემო კიბოთე,
 როცა გავრეკეთ
 ჩვენი ბებრები
 და ასისინდენ
 სუყველა მტრები,—
 ყველა ფიქრობდა,
 რომ დაიღუპა
 თეატრის კერა...
 მაგრამ მე ვიტყვი:
 „მოგართივით ვერა“...
 დღეს ჩვენ მოვმაგრდით...
 „პროჩ ჩეხვან რუკი“
 ამას ამტკიცებს
 დრამა „ზაგმუკა“.
 გლახა არა სთქვათ,
 იყავით მუხჯი,
 ამას გიბრძანებთ
 ჩვენი „დურუჯი“.—
 და მეც დავდუმდი,
 ენა დამებდა,
 მხოლოდ გულში ვსთქვი:
 არა ღირს მარტო...
 თავისა ქება...

გამოველ გარეთ დაღონებული,
 მიუახლოვდი ოპერის თეატრს;
 „დემოკრატია“ საყვედურბდა:
 და რალას უშვებდენ აბონენტებს?
 ჩვენთვის კარგ რაშეს
 ვინ გაიმეტებს?!
 მიუახლოვდი „გოსისდატის“
 ლამაზ „ვიტრინას“
 (ანუ პოეტად მოწოდებულთა
 მუღმიესა ბინას)
 ვითარდებოდა ახალგაზრდობა
 წიგნების ხედვით
 მსჯელობდენ ზორბად პოეზიაზე
 დიდი გაბედვით.
 ღიღხანს იმსჯელეს...
 ასტკივდათ თავი,—
 მაგრამ პოეტმა ღვინეფაქემ
 დაამყარა მათ შორის ზავი:
 ზრქნულათ აუხსნა ღვინეფაქემ,
 რომ პოეზია კარგი ხილია...
 „ქართულმა“ „წიგნმა“
 ვერ გამოსცა ჯერაც ილია
 როგორც ეტყობა
 აქციები შემოვლია.

ცაკოს ზიძა



პაპა: ეს რა საზარელი ხმები მესმის? ჭეშმარიტად: რადიო ეშმაკების მოგონებაა და მხოლოდ მათ შეუძლიათ რადიოში ლაპარაკი.
 სპეციალისტი: გვა პატივით კურთხეულო; შეცდომით ხაზ კოთა კავ შირს შეუერთეთ.

„პილსუდსკი სასტიკოდ სდევნის ოპოზიციონერ გაზეთებს“.



მანია

პილსუდსკი (ლაქიას) აბა, მეორე ვერძი მოიტა...
 აღბად ის უფრო გემრიელი იქნება.

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ უ ი



— სასიამოვნოა, რომ უნივერსიტეტის დერეფანში პაპიროს არ ეწყვეით...
სტუდენტი: თქვენ გგონიათ ეს გაზრდილობით არის? არა... პაპიროსი არაის აქეს და ეს იმიტომ...

„აქეთაც და იქითაც“

საკმაოდ მდიდარ ოჯახში დაიბადა ამბაკო. ამბაკოს მამა—გიორგი დიდი მოხერხებული და „წარჩინებული“ კაცი იყო. სადაც კი იმ არე-მარეში ქორწილი, ან რამე სხვა წვეულება იქნებოდა, გიორგი აუცილებლად თამადა და „საპატიო სტუმარი“ იყო.

სამაგიეროდ: ისე კვირა არ გავიდოდა, რომ გიორგის ოჯახშიაც ქეიფი არ გამართულიყო...

და სწორედ ამ ქეიფის წყალობით იყო, რომ გიორგი ყველგან და ყველასთან აკეთებდა საქმეს. რასაკვირველია, გიორგი ანგარიშის კაცი იყო: რაც დაუჯდებოდა თავის ოჯახში გამართული ქეიფი, იმას გაათკეცებოდა მანაც აიღებდა, გაინაღებდა.

— რა ექნა ჩემო კაჯო. არ გადავახდევინებ, მაგრამ ხომ იცი, გუშინ-ღამ რომ ქეიფი გავმართე, ეს იმიტომ რომ შენი საქმე მქონდა გასაკეთებელი და ის კაცი სახლში დავატიე. თუ პატივი არ ეცი, ისე არავენ არაფერს გაგიკეთებ... ყოკლეთის ჩემი ჯიბით ხომ ვერ გავ მართავ ასეთ ქეიფებს თქვენი საქმის გასაკეთებლად? თქვენც ცოტათუ ამინაზ-სურეთ ქეიფების ნახარჯი და. გიორგის დღეგრძელი სიტოცხლე აქეს, „პრისტავთან“ და მამასახლისთან კი არა. „ჩენის ნაჩალიკთან“ გავაკეთებ საქმეს. ამზობა გიორგი მეზობლებში...

მეზობლები სასამართლოში თუ აღმინისტრაციაში ყოველივე საქმის გასაკეთებლად გიორგის მიმართავდნენ. გიორგი დაპატიებდა „დიდ-კაცებს“... და მართლაც ძალიან ხშირად „აკეთებდა“ საქმეს.

ასე და ამგვარად გიორგის ოჯახში ხშირი იყო ქეიფი, რომელიც გაათკეცებოდა უნდა აენახლათურებია ისევე სოფელს.

პო-და აი ამ გიორგის შვილი არის ჩვენი ამბაკო... და რა გასაკვირია, რომ მამამ შვილი პატარაობიდანვეც

ცხოვრების სწორ და ნათელ გზაზე დააყენა: ამბაკო დიდი ჩინოვნიკი იყო.

როცა გიორგიმ ყველაფერი მოაწყო, ე. ი. კარგი სახლკარი ააგო, მამულეები შეიძინა, შვილი „დიდი კაცი“ გამოიყვანა,—რაღა დარჩენოდა ამ ქვეყნად მთელ თავის სიტოცხლეში ნაქეიფარ კაცს!!—აღდა და ერთ მზიანს დღეს იმ ქვეყნისკენ გაუღდა გზას.

ამ ქვეყნად კი მისი შვილი ამბაკო განაგრძობდა ცხოვრების გზას. რომელზედაც მამამ დააყენა.

ამბაკოს ბევრი ამხანაგები თანაუგრძობდნენ და ზოგი მათგანი კიდევ ეკუთნოდნენ სოციალისტურ პარტიებს, რომლებიც უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ და ემუქრებოდნენ არსებულ წესწყობილებას, ამას ხედავდა ამბაკო და ამიტომაც იყო, რომ იგი ცოტათი კიდევ „მოისოციალისტებდა“, მაგრამ ეს გარემოება მას ხელს არ უშლიდა „პრისტავ-ნაჩალიკთან“ ძალიან ხშირად ექეიფა და დრო გაეტარებია.

წინ მიდიოდა ამბაკოს საქმე... და იგი „დიდი კაცი“ გახდა...

მაგრამ მოულოდნელად მოუსწრო თებერვლის რევოლუციამ, რომელმაც მეფე და მთელი მისი ამაღა გადმოაქინწისთავა ძირს.

ამბაკოს წინაშე მთელი სიგარძე-სიგანით დაისვა „ყოფნა არ ყოფნის საკითხი“. შეუერთდეს რევოლუციას?—მერე-და ისევ მონარქიამ რომ გაიმარჯვოს?.. არ შეუერთდეს და, რას ეტყვიან ამხანაგები, რომლებიც იცნობდნენ ამბაკოს და იციან რომ ამბაკო ოდესმე „მოისოციალისტებდა“!

როცა მან თვითონ ვერ გადასწყვიტა ეს საკითხი, ცოლი მოიხმარა.

რაშია საქმე?

სწორი პასუხი

ტუსაღის ნაამბობი

(გურული სცენა)

არა, ყოლიფერი კი გამიგონია და რაცხა კი მინახავს, მარა ამფერი, აფერი არა მე' და ჩემმა ღმერთმა. რაფა. ციხეში არ დაებადებულეჯარ, თფარა კი გევიზარდე; პირდაპირ რა ვიცი რა ამბავი გადამხთენია, წისკელი არ დაპტრიალებია თაფზე, თფარა სხვაი აფერი მაკლია; წელიწადში ცხრაი თვეი ციხეში ვიყავი და მიდღემჩი არ მინახავს ციხეში: აი წრეებო. აგი ფიზკულტურაიო, აგი იურიდიულიო, აგი გაზეთის გამობეჭვდაო. აგი წერაკუმბო და რა ვიცი; რაშია ნეტაი საქმე? რაფა, აგი ციხეა ნიკოლოზას და იმ ჩვენს მენშევიკებს რომ ჰქონდა, თუ სლაბოდნი უჩრადენიაა სხვადასხვა განყოფილებებით დანაწილებული? საქმე რაში უნდა იყოს იციო? აგი რაცხა კომნისტებია გვიდა და გვიდა ძირი და ფესვი და ამ პატიძრებს ისე უწყობენ საქმეს, რომ თლათ ახალ კაცად აქცივენ ამფერი მუშაობით. ვინც კი მოხთება ამფერი ციხე უნივერსიტეტში და ცოტას კი დუუკვირდება ცხოვრებს. მერე იგი კიდევ არ უნდა მოხთეს ბადღეში. მარა რა ვითროი: ზოგი რომაა, ძამიავ იქინე სახლში არ ექნება ასეთი ცხოვრება და იგი რაფერი გინდა მოარჯულო? მარა იმასაც ჭე უყურებენ თურმე განიდაგან ჩუმათო და თუ იმფერი გუუსტორებელია, მეორე და მესამე გზობა რომ მოძობადავენ, ჭე მთარასხოობაზინ თორმე და მერე უყარე კეკალო

ყირ-ტარი.



მასწავლებელი (მოწაფეს): აბა ესლა შენ მითხარი, თუ რა შემოაქეთ უმთავრესად ბათუმის მხარიდან? მოწაფე: კანტარბანდა, მასწავლებელო...

უმუშევარი

პასუხი

„სოფლიდან გამოზობიან ჭა ლაქში სამხახურის სამოვენლად, რაც იწვევს უმუშევრობის გაღიღებას“

(გაზეთებიდან).

დღეის 'შემდეგ თბილისიდან ნეტავ რას ველი?!
გავათავე კაპეიკი უკანასკნელი.
არ-რას მაძლევს ეგ ცხოვრება ოხერ-ტილი;
მხოლოდ მჩიება კვლავ უფასოდ ჭე ხეტიალი.
სადაც მიველ, ყველგან მითხრეს— სტაჟი თუ გაქვსო;
აქ უსტაჟო. ხომ-კი იციო, ხვეტავს ნავაგსო.
ჰე, ცხოვრებზე უკულმართ: გაუგებარო,
მითხარ სტაჟის მისაღებად ვის მივებარო!?

მერვინ ვპოვე—ამაშოროს ეს სიღარიბე;
მხოლოდ ის მცნობს; ვისაც ჩემებრ უტირის ჯიბე.
ურთი სიტყვით გავიცვითე და გამოვხუნდი.
სულ წაფხედები თუ სოფლისკენ აღარ გავბრუნდი.
სხვა რა გზა მაქვს, მივაკითხავ ისევ ჩემ სოფელს.
მაგრამ ვიცი არ მიმიღებს მის უარ-მყოფელს.

ჭალაქში რომ მოვდიოდი, მას ვაძაგებდი...
რა ვიციოდი, თუ ამისთვის პასუხს ვაგებდი!
აწ რა პირით მივაკითხო ჩემგან ძაგებულს?!
საზრდოს ვინდა დამახვედრებს მომარაგებულს!
მუშაობის „ოქროს ხანა“ უქმად ვატარე.
მაგრამ ახლა სულ ჩამწარდა რაც ვინეტარე.
ფულიც არ მაქვს, მეგობრებშიც ნდობა დევკარგე—
ვწყვეტილი იმ დღეს, რო თბილისში ჩამოვებარგე.
რომ შემხედოთ, გარეგნულად თუმცა ვიცი, მაგრამ გულში ისმის მწარე მოთქმა-ჭვითინი.

დღეის შემდეგ თბილისიდან ნეტავ რას ველი?!
გავათავე კაპეიკი უკანასკნელი.

ძილი არ მაქვს, ტარტაროზ, მოსვენება ღამითა.
მოწაფე ვარ ცხოვრების ტრალედია—ღრამისა.
დალონდები რომ ნახო ჩვენი პერიფერია!
ის, ვინც პორტფელს ატარებს, თურმე ყველაფერია.
(თუ იმხილე, რამე სთქვი ყველა შენი მტერია).
და მეც ვლუმდი დროებით, ტაქტიკური ნიშნებით!
მოწოდება ვისმინე—
ღარდათ გადავიშლები.
იმედი მაქვს, ძამიკო,
შენც აწ დამენდურები—
მე სოფელში ვიქნები,
(მიყვარს მთა და ბარები),
შენ კი დედაქალაქის დაამშვენე კარები...

ჭავჭავი ბზიკი



ჭავჭავი

სამბროლის დეკონ უზროსის ცხოვრებიდან



მუშები (გამეც): ახ. ნოე, სად არის ჩვენი უფროსი? ნუ თუ სამმართველოში გადაიტანა დეკო, რომ ყოველთვის იქ არის!
ნოე: ხომ ხედავთ კაბინეტი დაკეტულია; შიგნიდან რომ ხმაურობა, ისმის, ის ვირთხებია.

„კვებორო“-ს კარტიკა

შალვა (ტელეფონზე): ტრრ... ტრრრ... სადგური, სადგური!.. აქ შენა ხარ, მარუსია?... როგორ გიკითხობ? ხომ კარგათ? ა, ვერ ხარ კარგ გუნებაზე?... რაინა, რა ამბაკია!.. კასა გაქურდეს?... ბიჭოს, ეს ახალი ამბავია!.. ბონდოზე გაქვთ ექვი?... არა, ბონდი მაგდენი პატიოსანი არ არის; მაგას არ იკადრებდა იგი. ხო, კარგი. მაგი შემდეგ... ეხლა მომეცი აღმასკომი... გადავებრუნო? ანა გადავებრუნე. (ურეკავს) ტრრ!.. ტიხონ ხარ?... რავე ხარ, კაცო, გუნებაზე. ხომ კარგათ!.. თავებრუ გესხმის? ერთი ჭური კვეერი არ ავითავდა!.. არა ძეო, შენ ვერ ხარ მსმელი კაძახი, თვარა აღესის მაქარმა ასე რავე უნდა გაწყინოს კაცო?! არაფერია!.. დღეს კიდევ ავგაგოროთ და გაგივლის... რომელ საათზე?... ასე 12-ის ნახევარზე. ფული არ გაქვით?... რათ გინდა შე კაცო. მიაკლტე მთი აღმასკომი და წამოიყვანე: დიმიტრე, დიომიდე და ლალიმეც თუ გინდა და შემოქყევით ანგლიეს ლუქანში... აბა, ჰა... გიცდით ოთხმოცდაათ ფუთთან ბოქკასთან... გადაეცი ვალოდიას, კოლიას, აფრასიონს, ყაისარს და ელიაზარს,--დაკეტონ დაწესებულებები და წამოვიდნენ... ხო, ხო. აბა შენ იცი... რას შემშვიდობები კაცო!.. მალე მოდი, მალე!.. მე შალვა ვასამქსთან წამოვიყვან მისი წარდით...

მოკვლევა სამიკიტნოში

1 შალვა (ღვინო სასეე ჭიქით ხელში): ბატონებო, ზადგან დამავალეთ და თამადათ ამირჩიეთ, ბარბამ ისიც დამავალეთ და ღვინოს ჭიქაში ნუ მოიტრებთ...

ყველანი: ჰი, ვაშა, შალვა. ვაშა, ჩვენი შმა ხარ, ჩვენი ქმა.

2 შალვა: ტყვილათ კი არ არის ჩემი სახელის მოზიარე და ჩემი კანდიდატი ტოლუმბაშათ.

ტიხონ: ბატონებო, ამ დიდ ქვიფეს, ერთი სიმღერაც დაშვენდება.

აფრასიონ (მღერის).

ტოლუმბაშო ჩანჩალოც

ღვინო გვასვი ჩქარჩქარაო.

აფთიაქი გამოვყეტე,

ლბინი მინდა აქ ჩქარაო.

პროკოპი (ართმევს):

საშვალო, რომ დავამთავრე

თონიკუმში ვადვიარე,

თონმა თავი მომაბეზრა,

სამიკიტნო შევიყვარე:

ბენო:

ვაი, ჩემო მამაჩემო,

შვილი გუვიარ გოწონიაო,

ის არ იცი, რომ ღღეიდან

ბენიე რომ ლოთითაო.

ყაისარ:

სამიკიტნო გამოვყეტე,

შევეჩვიე სამიკიტნოს,

გლგებში, რომ კართან მიცდის

მე კი აქ ვსვამ მაქარ-ღვინოს.

ყვილანი (სიმღერას ათავებენ): ვაშა, ვაშა ყაისარ!..

1 შალვა: ანგლია, მომიტანა ერთი ჩეთვერი ღვინო.

ანგლია: ამ საათში, ბატონო ჩემო!..

ვალოდია (ღვინის დანახაზე): ოი, დედასა...

კოლია: ო, გენაცვა სულში, ღვინოვ ჩემო... რათ მინ-

და ფოსტა, აპარატი წერილი-მერილი, პასილკა-ნასილკა ზაკაზნოი-ნაკაზნოი, (სიმღერა, აურ-ზაურო. თანდათან მოტულობს).

აფრასიონ: ანგლია, შენ თანჯარაში იყურე, „ვასმაბი“ „კვაპი“ ან სიკო არ წამოგვაწყდენ თავზე, თორემ „ტარ-ტარო“-ში გაგვიტყვენ ჩელათ ის რაზონიკები, ისა...

აფრასიონ (მღერის):


თავო ჩემო, ბიდი არ გიჭერია...

მარო ჩემო, ეშხით არ გიფერია...

ცოლო ჩემო, სულიც ამოგზდენია

და შენ მარო ჩემთან მოვირბენია.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა



— არ შეიძლება აქედან ვაგონში ჩაჯდომა!!!

— ორი საათია აქ ვდგევარ... ვაგონში ვერ ჩავჯექი... სამსახურში მიგვიანდება... სამსახური რომ დავკარგო, მერე პასუხს თქვენ აგებთ?

2 შალვა:

ნარდო ჩემო, ძირიც გამოგძრობია.

თავო ჩემო, ერთხელც არ მოგიგია,—

ხალხის ფული მუდამ შიგ წავიგია.

ანგლია (შემორბის): თუ შეგიძლიათ, თავს უშველეთ: „ვასმახი“ „კეპუი“ და „სიკო“ აქეთ მოდიან... (წამოცვივიან. ზოგი თავს ძლივს იმაგრებს, ზოგს სძინავს, სხვები გარბიან. ტოლუმბაში შალვა კი სდგას მაგიდის თავშიზ და ტრახბახობს):

1 შალვა: მოვიდენ აბა ის თხრები, თუ კარგი ბიჭ-

ბია... მე ვუჩვენებ მათ სერის. მე ტოლუმბაში ვარ და ამ სუფრას არ მოვშორდები სიკვდილის ღღემდე. (ასაქმებს) ხომ ხედავ. მიკიტანო, ყველა ავაგორე (გულზე ხელს ირტყამს) ბიჭი ვარ, ბიჭი!.. (მღერის „მრავალუამიერს ვეძებლის ხმაზე“).

მრავალ უამიერს ვეძებ.

ვერ ვნახე, დაკარგულიყო,

ანგლიეს სამიკიტნოში

ბოჭკებში ჩამალულიყო, (მიეძინება).

ვასმახი.

ს ტ ა მ გ ა შ ი

(სახელგამის გამოცემები)

— ჩაჩიკი ეძახის ერთი ასოთამწყობი მეორეს: ჩაჩიკ, მოდი, თუ ძმა ხარ, გამაიციან აქ რა სწერია (ჩაჩიკა კითხულობს):

„ზანგს თმა თავზე გორგვებად ამოუღის“ - რა უნდა იყოს ეს? კითხულობენ გაკვირვებულები. ასოები სწორედ არის გამოყენილი, მაშასადამე ესა სწერია.

ამ დროს გამოჩნდება წიგნის ავტორიც.

— უაკრავად, ეს რასა ნიშნავს ბატონო ავტორო?

„ზანგს თმა თავზე გორგვებად ამოუღის“?

— ესა ნიშნავს, რომ ასეთი თმა აქვს ზანგს, როგორც შენ.

— ესე იგი: ხუჭუჭი?

— დიას, ხუჭუჭი, ხუჭუჭი ავტორი და უხერხულ მდგომარეობაშია, რადგანაც ვერ დაუწერია კარგი კართულით, მაგრამ წიგნი მაინც შეუსწორებლად იბეჭდება.

— ზახარიჩ! აბა მოდი რა სწერია ეს, გამოიცანი! ეუ-

ბნება მეორე ასოთამწყობი ამხანაგს. ამხანაგი კითხულობს „ქათამს კვერცხი მოაქვს“ ვა! ალბად ხონრით მოაქვს აი! ალბად ავტორს უნდა სთქვას, ქათამი კვერცხსა სდებსო. აბა ესეც წაიკითხე, რა სწერია? ამხანაგი კითხულობს:

„დარაჯი რელსს ეჭიჩავება“—ეს კი, სწორე მოგახსენოთ, სუთლად გაუგებარია. „ეჭიჩავება“. ან ზედ გიმნასტიკასა თამაშობს რელსსზე დარაჯი, ან „კაჩაობს“ ზედ, ან ზედ იქაჩავს თავს, მაგრამ მამაცხონებულს რაღა მაინცა და მაინც რელსი აურჩევია ამეებისათვის.

— შეიძლება სხვა რამეს ნიშნავდეს, მოუცალით ავტორს.

რამდენიმე გამოცემა დაიბეჭდა, მაგრამ ავტორი, როგორც ძალიან დიდი კაცი, სტამბაში შეველას ჯერ არა კადრულობს.

ფე შენჯე ფაშბერტყვაძე.

პანიკის

მეცხვირული



ხალიფაშრისათვის

ტარტაროზ, მაგ შენ ფურცელზე.
 მყავს ეხლა გასაწერია
 ქიათურისა მუშ-კობის
 გამეგობისა წერია.
 აბა შიძეა გვიარადა,
 დიმიტრი ქეია სახელი;
 ხალიფაურში ემდურის
 ახალგაზრდობას მას მთელი...
 ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ სოფლად
 ის მოვიჩიოთა ცხენითა
 და იქ მყოფ ახალგაზრდობას
 მოგვძარათა ტკბილი ენითა:
 „ჩვენ აქ ვაარსებთ, ბიჭებო,
 კოოპერატიულ წრესაო
 თანახმათ ცეკავშირისა...
 მეტად საჩქაროდ გეწერსაო.
 თქვენთვის ძალიან კარგია,
 განვითარდებით წრეშიო.
 მეცადინობა გეჭნებათ
 ოთხ-ოთხჯერ ყოველ თვეშიო...
 ამისთვის გვინდა საჩქაროდ,

რომ მოვიწვიო კრებაო.
 თქვენ შეურჩიეთ ერთი დღე
 როდისთვის შეიძლებაო...
 აცნობეს ყველას: შაბათსო
 გვაქვს მოწვეული კრებაო
 სოფელსა ხალიფაურში...
 ნერავენ დააკლდებაო...
 და იქ ამოვა მუშკობის
 გამეგობისა წერითა;
 აქვს წრის დასაარსებლათ
 სალაპარაკო ბევრითა.

შაბათს მოვიდა დიმიტრიც
 და ხალხიც დახვდა ბევრია.
 ახალგაზრდები წრეშიაც
 მან ბევრი ჩაგვაწერია.
 დაგვიპირდა: გამოვიგზავნი
 კოოპერატიულ წიგნებსო.
 ლექციაც ხშირად ოქნება,
 კარგია ღინც შეიგნებსო...

ეს იყო, მგონი, ზაფხულზე.
 ხანი გავიდა დილია...
 მას შემდეგ აღარ გვინახავს...
 სიტყვა ფეხებზე ჰკილია.


ვაშაურელი.

დაუკარი ჩემო სტვირო,
 გენაცვალე კობტა ყელში;
 არ გაგიტყდეს ჩემზე გული,
 დამაცადე ამ ორ დღეში,
 ისე მოგროთაე და მოგაკაზმავ,
 ვით პატარძალს საქმროს გვერდ
 დაგახურაე წითელ ქულსა,
 აჯგვევ წითელ სამოსელში.
 ჩატომ არის ჩვენი „ეპო
 ელარ გაიმართა წელში,
 ქელი ცოდვა რომ აღმოჩნდა,
 ვის წაწვდება ნეტა ყელში?
 ოთხი ათასი მანეთი.
 ვინ გახვია ასე ბნელში,
 რომ დღემდი ვერ შეამჩნიეს,
 დღეს გამოაძვინეს ხერგელში,
 ვინ „ჩასანსლა“ ასე ტკბილათ,
 უღარდელათ იგლო ყელში?
 (სოფელი კი ასე სწყველის:
 გველემშაპი მის მუცელში).
 ტარტაროზო, მინდა ვითხრა,
 სამწუხარო რამ ამბავი,
 ვისმეს ავათ თუ გაუხდა,
 ხარი. ძოოხა და ან კრავი,
 ვინ აჩვენებს იმას ეჭიმს.
 გამძვრალი აქვს ხელათ ტყავი,
 „ხუზარათი“ დაასივეს,
 ხალხი ისეც განატყავი.

რას აკეთებს თემის საბჭო:
 ესეცა მაქვს საკითხავი?
 ალაც გხეზი, აღარც ხიდი,
 არეინ არის გამკითხავი.
 აფთიაქში აირია
 საქმე როგზე დაწვობილი
 წამლათმხავი გვყავს ჩვენ ერთ-
 ბახუსის მონა მორჩილი
 პეტრეს წამალს სიკოს აძლევს
 და სიკო გულ დაწვევტილი
 სდგას კარებში საყვედურობს:
 „აწი მაინც იყონ ფრთხილი...“

კინტაძე.

პანხეთის გატარებელი



მზავრი მე სადღა დავჯდე??? ყველა ადგილი ტიკებს დაუკავებიათ!





ე. ციხისფერდელს. (ლიხაური. გურია) ცოტა არ იყოს და, ჩვენ კარგად ვერ გავერკვიეთ თქვენს წერილში. არ ვიცით რომელ მხარეს ზუსაყვედურით. თქვენ გვეწერ:

სამკითხველო უქმე დღეს დაკეტილი იყო და ივანე ამიტომ გაბრაზდაო.

და თუ მართლაც ასეა ჭეშმარიტად რომ გასაბრაზებელია. სოფლად მით უფრო კვირა-უქმე დღეს უნდა იყოს სამკითხველო ღია, რომ ადგილობრივ გლეხობას საშუალება ჰქონდეს ჟურნალ გაზეთების წაკითხვისა (თუ, რასაკვირველია ასეთი არის თქვენს სამკითხველოში, რაც იშვიათი მოვლენაა ყველგან).

ხოლო, რაც შეეხება იმას, რომ ივანე ამბობს:

ახლანდელი ბაღნები როგორ უნდა გამოსულთყავით ჭკუიანებზე, როცა ყველა არეულობაზე: იმის და რევოლუციების დროს დაიბადეთ; ამიტომაც არის, რომ ერთი არ ვარგისართო.

ეს საკითხი ცოტა არ იყოს რთულია—ხოლო ერთი რამის თქმა კი შეიძლება: თქვენ რომ უფარგისი იყოთ, აქ იმი და რევოლუციაც დიდად არაფერ შუაშია.

ეს თქვენი პირველი ნაბიჯი ყოფილა... და გული არ გაიტეხოთ თუ პირველი ნაბიჯი პირდაპირ უფსკერო გოდორში გადაგიცდათ. (ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა). წერილი ცალ გვერდზე დასწერეთ.

სულეიმან ბეზერგანის. გერჩინათ თქვენი სიყვარული კაკლის მურაბაზე შეგეჩერებინათ და შემდეგ აღარ გაგეგრძელებიათ ქალებზე.

ეშმაკის ძმას. იმედი ნუ გექნებათ; არ დაიბეჭდება.

მელა-კულდას (შორაპანი) გასულ ნომერში მოგეცით პასუხი. ალბად არ წაგიკითხავთ. თქვენი რეჟიმ-ეკონომია. გულდასმით წაგიკითხეთ. საცოლო კაცს კარგად ჩაუტარებია რეჟიმ-ეკონომია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ იმ პიროვნებას (თქვენი წერილის გმირს) ჰბაძავთ ყველაფერში და მის მაგალითს მიჰყევით. კარგია. მასეც მოიქცეთ. ანდა რა საჭიროა... დროსაც უფრო მოიგებთ. (ალბად გამოცდილი ხართ) სიმაართლე უნდა გითხრათ ძალიან გვიანტერესებს თქვენი ვინაობა. თუ შეგიძლიათ მოგეაწოდეთ თქვენი ფოტოგრაფიული სურათი.

ლონგოს პირველად გვესმის, რომ ვერის ხიდთან

იდაყვდაყრდობით ყურს ვუგდებდი
ბაყაუთ ყიყინსა
და თვალნი ჩემნი დაპრაწულნი
ელოდენ ძილსა.

ბაყაუების ყიყინის რა მოგახსენოთ. და თქვენი წერილი უფსკერო გოდორში კარგად მოისვენებს.

კირილე საფირჩხიელს. როგორც თქვენი „მეზობლის იასონის ცოლმა რიფსიმემ დაუძახა ბატონო თქვენს ცოლს კესარიას ჭიშკრიდან, რომ ამ საღამოს კანცელიარიაზე ქალების კრებაა და უსიკვდილოთ წამოდიო, ისევე დაუძახეს უფსკერო გოდორიდან შიგ მოთავსებულმა წერილებმა თქვენს იმერულ სცენას—აქეთ წამოდიო... თქვენმა წერილმა ყადრი ველარ გაუტეხა, ველარ გააწბილა თანამომძენი და ამჯობინა უფსკერო გოდორში წასვლა. მართლაც დიდი ამბით მიიღეს უფსკერო გოდორში: დიდხანს ისმოდა იქიდან: „ყოჩად, ყოჩად კირილე საფირჩხიელო, ამხანავობაც ამას ჰქვია“..

ასე რომ ჩვენ საყვედური არ გვეკუთვნის თქვენი წერილის მოუთავსებლობის გამო, რადგან თვითონ მისი სურვილი იყო უფსკერო გოდორში წასვლა.

სოსოს (ხიდის-თაე) არ არის გასაკვირი, რომ სამკითხველო „ბახმარო“-ში გამგე არაიქნა უშვებეს. ეს ალბად იმიტომ რომ—უფროთხილდება მკითხველი არ გაცივდეს. თუ სააგარაკო სეზონის დროს—ზაფხულზე გამგემ არ „მეუშვა“ ხალხი „ბახმარო“-ში, მაშინ მოვსთხოვთ ჩვენ პასუხს.

რომ მკითხველი გარედან
მიადგება ფანჯარას,—
სამკითხველოს გამგისგან
ისმის;—არ შეიძლება...

არც ასეთი ლექსის შეიძლება, მაგრამ ძინც სწერთ და, (ეს კიდევ არაფერი), „ტარტაროში“ აგზავნიო. თუ თქვენი სამკითხველოს გამგე ასეთი საქციელისათვის გასაგზავნია ჯოჯოხეთის კუთხეში, მაშინ თქვენი წერილი გასაგზავნია უფსკერო გოდორში... და ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ცხრა-წლიდის შიხსაზე უკვე იყო ცნობა „ტარტაროში“-ს გასულ ნომერში.

ჩაქველ ხელიკვს (ალბადი ჩაჩიში). თქვენ გვეწერთ:
ძლიერ დიდი ხნიდან მსურდა,
ტარტაროზ, შენი გაცმობა.
მაგრამ რა ვქნა... დალუპული
შემეჩვია ზარმაცობა.

ძალიან ვსწუხვართ, რომ ზარმაცობა დაგიძლევიათ და ეს ლექსი მოგიწერიათ. ჩვენთვის სჯობს განაგრძოთ ზარმაცობა... იცოდეთ, რომ ტარტაროზს ასეთი წერილით ვერ გაეცნობით, ხოლო მის უფსკერო გოდორს კი. კეთილი იყოს თქვენს მიერ ჩვენი უფსკერო გოდორის გაცნობა.



„ჩ ი ბ ი“



დედა (რომელიც ესტუმრა ტფილისში მილიციულ შვილს სადგურში დანახვისთანავე აღტაცებით ეუბნება): შვილო, გენაცვალე... პომპოლიკი გამხდარხარ შენი გირიბე... დენერალ-დუბერნატორის ქუდი ვახურავს თავზე... ჯამაგირიც ხომ მოგიმატეს ჩინთან ერთად შენი გირიბე?
 მილიციელი: მმ... ა... სხვა როგორ ხართ სახლში?..


განგანობა

№ 78

კვირა 12 დეკემბერი 1926 წ.

№ 78

ყულაბა



— რაზდენი ხანია ფულუბს ცვრით შიგ და ამ ოხერ ყულაბის აფსება მაინც არ იქნა.
 ამერიკული ყულაბა: დაიცადეთ... ჯერ სადა ხართ. საცრით წყალს უშალ. მოიტანთ, ვიდრე მე აშავებდეთ.

ნაცარქაბო

მუშაობდენ დღედაღამე არ უჩანდა საჭმეს ძირი. ვის ახსოვდა მოსვენება, ვის ახსოვდა ღამე ძილი-თითქმის თერთმეტ ან თორმეტზე მოდიოდენ დილას ადრე, დაცქეროდით ღამ-ღამობით დანჯარებიდან „სტოლზე“ მთვარე. იყო წერა... იყო ბჭობა... (რაზედ, ვისთვის, რისეც, რატომ?..) და დღითი-დღე იზრდებოდა შტატების მხრით ნაცარქაბო. კებინებში, როგორც ბევრგან გამგებობაც აქაც გამგე, და გულუხვად ურიგებდა ნათესავებს თბილ ალაგებს. შეეცეცა და ახლის დასმა მიღებულ იყო სენი, (ეკრეჟიმის და კარგ გამგის საქები და დამამშვენი...)

ღრო მიქრობდა... ახლო-მანალო იტებადენ ბევრნი კისერს. ნაცარქაბოს კი ცხოვრება ძველებურად სცემდა ისევე. დღე პაპიროსს უნდებოდა, საღამო კი ტკბილსა ბაას... რა ვუყოთ თუ ხუთად სწორ. ნამუშევარ ზედმეტ საათს. მუშაობა სდულდა თითქო, არ უჩანდა საჭმე ძირი. ვის ახსოვდა მოსვენება, ვის ახსოვდა ღამე ძილი... ერთხელ როცა კარში წვიმა ცრემლებს გვრიდა მანდილოსნებს, სახელგამის კანტორაში მოენასათ ბინა მგონებს, ტრამვაიში შეძრომისთვის ხელჩართული იყო ომი და ადგილი ცილის სიგრძეც გამხდარიყო მიუწვდომი... ნაცარქაბოს თავმჯდომარემ კალმის ტარი დასდო ნელა და უბრძანა:—გამგებები დამიძახეთ ეხლა ყველა.— და შეგროვდენ გამგებებიც, შეაჩერდენ თვალში უფროსს. თავმჯდომარე იჯდა ჩუმად, თავმჯდომარე სდულდა უფრო... და გაბედა ბოლოს ერთმა, თქვა:—უფროსო, რა გაწუხებთ, იქნებ ის რომ ურიგ ალაგს რესტორანში გნახეთ წუხელ?.. ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ შენთან ვართ არ იქნებით კირში მარტო, შემოგვევლით ყველა ერთად, შემოგვევლით ნაცარქაბო!.. და თქვა მაშინ თავმჯდომარემ, (და ხმა მისი გულში ჩადის): —მეგობრებო მინდა გითხრათ რა მაწუხებს, რა მაქვს დარდი. ყველაფრით ვარ კმაყოფილი, ეომებით მტერს ერთგულად, უწყებაში კორის ფეხი ერთხელაც არ შემოდგამულა, მაგრამ ყურში იღუმბალი ხმა ჩამაბის და მომესმის:



- მომიტანეთ „ცოცხალი“.
- თევზი ძველი გახლავთ.
- მაშ ბიტკი მოიტანეთ.
- ბიტკი გუშინდელია.
- დღევანდელი არაფერი გაქვთ ?
- როგორ არა, —გახლავთ ჟურ. „ტარტაროზი“.

—გაიყინა ნაცარქაბო, არ ემჩნევა რამ პროგრესის...— წამი წამს ვაგს... სულ ყოველდღე მობეზრდება თავსაც ერბო, და სულ მუდამ, მულა მასე როდემდისინ, მეგობრებო!.. არ გვლანძღვენ, და (არც გვინდა) რად არ გვესმის მაშინ ქება?.. ერთხელ მაინც რომ შეგვაქონ გაზეთებმა რა იქნება?.. ნუ თუ გზები დაგვეკეტა, ვასაქანი არ გვაქვს არსად?.. დროა, დროა, ნაცარქაბო გახდეს ბოლოს ნაცარპასკად!.. და, აი, მეც დაგიძახეთ, ვიმჯღელოთ და ენახოთ ის გზა, რომელითაც მოკლე ხანში ჩვენ მივალწვეთ დასმულ მიზანს. გზა გრძელია, მაგრამ მაინც ნუ დავკარგავთ წუთით იმედს!.. დაამთავროს თავმჯდომარემ და „კარესლოში“ ჩაჯდა მძიმედ. და შეიქნა სჯა-ბაასი, და გარდაწყდა ბოლოს ასე, რომ გააცნო შესაფერად ნაცარქაბო ფართოდ მასებს, და პრესასაც გაახსენონ ნაცარქაბოს არსებობა, დაიბეჭდონ ანგარიში ას თავად და ცამეტ ტომად. და უთუოდ იმდენ ცალად, (რომ არ შექმნას ხალხმა რიგი) რომ შეგნებულ ყოველ ქართველს

მაგიდაზე ქონდეს იგი... და რომ უფრო არსებობდა მოსკრან თვალი მკითხველს უცებ. უნდა გრაფიკ-მრუდები ამშვენებდენ ყოველ ფურცელს. —აი, მაშინ,—თქვა უფროსმა— არ ექნება ქებას ზღვარი. გარდაქვედა ნაცარპასკად უქებოდ ხომ ძნელი არი.— და შეუდგენ მუშაობას, არ ზოგადდენ ოფლს და ფარებს, და წლის ბოლოს, როგორც იქნა როგორც იქნა დაამთავრეს. და უფროსმაც ამ ძვირ შრომას გამოიბოძა კი არ აცალა— და გაგზავნა დასაბეჭდათ მილიონ და ათას ცალად. და დაბეჭდეს, მოიტანეს, დააგზავნეს ყოველ მხარეს, და ეძებდენ ამბავს შემდეგ გაზეთებში გასახარელს. და მისდევდენ დღენი დღეებს, არც მყიდველი, არცა ქება, პირიქით, თქვენ ნაცარქაბო ანიაგებს სახქონებას. გაბრაზებულ თავმჯდომარემ დაუძახა ყასბებს მაშინ და ტომები სწვების ჯიბრზე გაატანა მუქთან სახლში. თუ ოდესმე, (გინდათ დღესაც) ხორცს იყიდით თქვენ ბაზარში, დააკვირდით სახვევ ქალაღს და ანგარიშს იცნობთ მასში.

სინგმატო.

საღერღელის აულა

კანადელი მილიონერი ჩარლზ მილერი აძლევს ჯილდოთ ორ მილიონს კანადელ იმ ქალს, რომელიც ცხრა წლის განმავლობაში შობს სხვებზე მეტ შვილს.

(ღებუებიდან)

ვინ დასთვალოს რამდენი
გავიკეთე აზორტი,
რომ ამეშორებინა
შვილის გაზრდის ხლადფორთი.
ო, რამდენი შვილები
ეხლა მეყოლებოდა?!
და ეს ფულიც ამდენი
მაშინ მე მერგებოდა



კოიბა




რინი

— ქალო მაკრინე, ზედავ რაი სწერია გაზეთში? ვინცა ამერიკელი ორ მილიონს იძლევა ვინც ყველაზე მეტ ბაღნებს იზამსო... კაი არ იქნებოდა ჩვენ რომ ვყოფილყავით ამერიკაში? მაშინ ჩვენ მოგვცემდნ ამ ფულს და მერე ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

— ვაი იმას ღებუცა კერიე, სულელი არ ყოფილაი? ორ მილიონს რეიზა ხარჯავს? მოვიდეს და მთლად ტყუილად გავატან ამ კირ-ამოსაწყვეტებს... ამომიდეს ტვინი თავში.

ერთი სახე სიგულინობისა



— პეტრე, ავად ვარ და დღეს სამსახურში ვერ მოვალ...

კინო და... კინო-მსახიობობა

კინორეწველობა მთელ ქვეყნიერებას მოველინა და აფორიაქა ყველაფერი. ცხადია, კინო არც ჩვენ დაგეტოვებდა უყურადღებოდ. მას რომც დავეტოვებინეთ, ჩვენ თითონ არ დავეტოვებდით მას.

ერთ კვირა დღეს რუსთაველის პროსპექტზე მივიღოლი. გზაში შემიფეთა ერთი უცნობი. იგი მობილიდა და გამვლელ-გამომვლელებს ათვალეირებდა, მომიახლოვდა და დაეჩინებოდა დაბაკტერდა, გვერდი აუხუხვიე და განვაგრძე გზა. ერთიც ვნახეთ, — შემოიპიარა და ისევ ცქერა დამიწყო. შემოებრუნდი და უკან წამოვედი. თქვენც არ მომიკვდით! გამისწრო წინ, აეყუდა კედელზე და საფუძელიანად ახმედ-დამხედა.

— ბიჭოს! ეს ვინ არის ასეთი თავხედი! — გავივლეთ გულში და იქვე მუშკოვების სუვაქროში შევედი.

არ შეგეპამოთ ჭირმა! წუთიც არ გასულა, რომ ეს კაცი შემოვიდა და წინ ამეყუდა. გარედ გამოვედი და ჩქარი ნაბიჯით მოუსვი შინსიკენ. ვიარე დაახლოებით 20 წუთი. დავიღალე და წყალი მოვიტხოვე. არ მახსოვს კლბის წყალი იყო თუ ბორჯომის. ის იყო მოყუდებული ჭიქა გამოვცალე და... როგორ გგონიათ! ის ახმახი პირში შემომიჩეჩა.

სისხლი თავში ამივარდა, მაგრამ ისევ ჩამოვიყვანე (სისხლი) და შევეკითხე:

- მოწყალეო ხელმწიფე! რა გნებათ თქვენ?
- ძლიერ გიხდებათ დაფარული გულის მოსვლა! — მიპასუხა მან.
- მე თქვენ გეკითხებით, რა გნებათ?
- მშვენიერი პროფილია. შეველიურაც დიდებული. ეს უკვე მეტის მეტი იყო. მუშტები თავისთავად მოიკუმშენ.

— მომშორდი თავიდან ვილაცა ხარ, თორემ ისეთს გაგაწნავ, რომ ჩემი კი არა, ბაბუაშენის პროფილაც დაგავიწყდეს! — შევძახე აღშფოთებით.

მოწინაღმდეგე ოდნავდაც არ შემკრთალა.

— აბა ერთი გაიღიმეთ! — მითხრა ღიმილით. ამის მოთმენა კი ალარ შეიძლებოდა. იყო მამა-პაპური სილა უნდა გამეწნა, რომ მან კილო გამოიცივალა და სერიოზულად მითხრა.

— დამშვიდდით, ყმაწვილო. ნუ ცხარობთ. მე თქვენთან ფრიად საკულისხმიერო საქმე მაქვს.

მკლავი გამიყარა და წავედი, თუმცა მე ისევ ალელვებული ვიყავი.

- ოდესმე სცენაზე გითამაშნიათ?
- მხოლოდ ერთხელ, ისიც სტატისტის-როლში!
- ეგ არაფერი. საერთოდ სცენასთან რაიმე კავშირი გქონიათ?

— სამჯერ ვიყავი სუფლიორად. ერთხელ ლექსი წარმოვსთქვი.

- ესეც დიდი მიღწევაა. თქვენი პროფესია?
- მონაგარიშის თანაშემწე ვარ.
- კოლ-შვილი გყავთ?
- მყავს ერთი კოლი, და ქალ-ვაჟი.
- ძალიან კარგი... მე ვარ კინო-რეჟისორი... მე თქვენი სახე მომწონს და ხვალ მოზრძანდით „გოსკინ-პროში“.

ახლა კი ყველაფერი გავიგე. არ მახსოვს: მოვიდოდი თუ მოვფრინავდი. გზაზე ერთ ქალს დავეჯახე, მან ლამაზათ შემომიკურთხა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. შემდეგ ვილაცას ფეხი დავაბიჯე მეტეპიან ფეხის ნაწილზე, მისი აღშფოთებაც არა-

„ებრაელთა უბანში გაიხსნა მუშაკობის განყოფილება. გახსნას დაესწრო ათასამდე ებრაელი“
(ქრონიკლან)



— ვადაი, ხომ დავგულუბა კაცი რჯულის მადლმა, რავა ზე ცხვირ წინ ჩამოგვიდგეს ეს კოოპერატივი ჩვენ გოუ-
ძლებთ. ვადაი, მაგის კონკურენციას?
— მაგის დარდი გაქვს. ხაიმო? ეს კიდე უკეთესია! მაქედან გამოტანილ საქონელს, ვადაი, აქავე გავყიდით...
და შორიდან საქონელის მოტანა აღარ დაგვიკირდება.

სიზნობარა ისეც რომ მე, როდესაც არავითარ საფრ-
თხეს არ მოველოდი, საყდარში მაშინაც შევსულვარ და
პირ-ჯვარი (და ჯვარიც) დამიწერია, მაგრამ ეს ხომ მორ-
წუნე ნათესაების ხათრით იყო.

ტყუილი: ტყუილის ხმაარებას ყოველთვის ვერბრძობ-
დი (როგორც ჩემთვის ძვირფას საუნჯისას); თუ საუბრის
დროს სიმართლე შემომელოდა, სიჩუმეს მოვიშველიებ-
დი თანახმად რუსთველის თქმულებისა: „ზოგჯერ თქმა
სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდები“. მაგ-
რამ, საუბედროდ, ყოველთვის ასე არ იდგა საკითხი,
რადგან ხშირად მაიძულებდენ, მდუმარების ნაცვლად
ხმა ამომელო, მაგრამ ვინაიდან შეკითხვაზე მართალი პა-
სუხის გაცემა ჩემთვის დამლუბველი იყო, ამისთვის ტყუ-
ილს მივმართავდი. ერთი სიტყვით, ტყუილს მაშინ ვხმა-
რობდი, როცა გამიჭირდებოდა. (მაშინ, არა თუ ტყუ, სინ-
დისსაც კი ვატყუებდი). მართალია: ძალიან მაშინებდა
ხალხური თქმულება: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“,
მაგრამ სანამ ჩემს მოკლე ფეხებიან ტყუილს სხვისი გრძელ
ფეხებიანი სიმართლე დაეწვეოდა და თვალებს საცოდა-
ვად დაუკაწრავდა, მანამ ხომ მაინც მოსვენებულად ვგრძ-
ნობდი თავს.

სიზარმაცე: არის ზოგიერთი სნეულება, რომელიც
ცხოვლთა ჯიშს ავლებს მუსრს. სწორედ ასეა სიზარმაცეც,
რომელიც კაცობრიობის ერთ ჯიშს, ქართველობას უფრო
ემტერება და მეც, როგორც ქართველს, ეს სენი ჩემი წილი
არ ამწორებია (ასე მგონია, კუთვნილზე მეტიც შემხვდა).
საქმიანობის შესახებ რალა ვილაპარაკო, როცა ლოგინი-
დან ისე არ აედგებოდი, თუ გვერდები არ მეტკინებოდა,
ან ის შეივინებულე შიმშილი არ შემაწუნებდა.

ტრფობა: მიყვარდა ყველა ლამაზი ქალი, და შეეყუ-
რებდი მათ შორიდან უფასშმა ძალღივით გულდაწყვე-
ტით. ხოლო მათ ვუყვარდი თუ არა, ეს გამორუკვეველი
საკითხია, რადგან მე მათ გულში არ ჩამიხედავს (ალბად
უყვარდი ისე, როგორც მღვდლებს კომუნისტები, ან რო-
გორც კატას შმარი, რაც ერთმა ქალმა ერთხელ აშკარა-
დაც მითხრა). თუ ხშირად მომხდარა ისე, რომ მე ქალებ-
თან აბრამის ბატკანივით ვყოფილვარ, ეს ძალაუნებურ
განდევლობას უნდა მივაწეროთ. (ერცელი მოხსენება ამ
საკითხის შესახებ იხილეთ და ისმინეთ ბნელ შესახვევებ-
ში, მხოლოდ არა ჩემგან, არამედ ამ საქმის სპეცისაგან,
რომელმაც უკეთ უწყის ყოველივე საიდუმლო კუნჭული).
შური: ათასი კარგი რომ ექნა ჩემთვის კაცს, ყველ
დამავიწყდებოდა, ერთი ცული კი მიწოდდა ათასად გადა-
მებადა.

სიხარბე: მეხარბებოდა სხვისი ყოველივე ის, რაც სხვას
მოსწონდა და რითაც პატრონი ხალხის თვალში მალღდე-
ბოდა; მეხარბებოდა სხვისი: სახლი, ბალი, ფული, თანამ-
დებობა, ცოლი და მსურდა ყველა ესენი ჩემი საკუთრებ
გამხდარიყვენ.

კიდე მეტი საუნჯის მქონე ვარ, მაგრამ თქმით კი
ყველაფერს ვერ ვიტყვი, რადგანაც მეშინია: ვაი თუ ვინ-
მემ გადაიღოს ჩემგან და პირველობა ჩამომართვას.


როგორც ხედავთ, ასეთ სამკაულებით ვარ დაჯილ-
ღობული, მაგრამ არ მგონია, რომ სრულიად უამხანაგო
ვიყო და თუ ზოგიერთი ჩემი მსგავსი თავის დამპალ თიხის
ფსკერს ოქროს ფსკერად ასალებს, მე დარწმუნებული ვარ
მათთვისაც გამოიჩნდება გრძელტარიანი კოვზი.

ღარიბი.



მომხსენებელს უხაროდა—საესე იყო რომ დარბაზი. ის ისვროდა სიტყვებს უზვად ხელოვანი ვით ვაგაზაზი.

ვერ უწვდენდა თვალს იქ სად თუ თავდებოდა სკამთა რიგის კარებთან არ ატუზული ფეხზე იდგა იქ შიკრიკი.




ერთ საათის შემდეგ ჩუმად გაიპარა ცხრა თუ ათი, მაგრამ დარბაზს მანდამაინც არ დაეტყო წასვლა მათი.

მომხსენებელს არ ჰყოფნიდა ციფრ-რიცხვები უამრავი. შიკრიკს ფეხი მოეკვეთა, გადახარა განზე თავი.



ცილვე შემდეგ ერთ საათის გაიპარა ოცდაათი; თუმცა ეხლა კი დაეტყო სკამს და დარბაზს წასვლა მათი,—ხოლო სკამზე დამჯდარიყო დაქანცული იქ შიკრიკი.

მაგრამ ეხლა მეთ ექსტაზით განაგრძობდა სიტყვას იგი; მანდამაინც არ დაეტყო სკამს და დარბაზს წასვლა მათი,—ხოლო სკამზე დამჯდარიყო დაქანცული იქ შიკრიკი.



ცილვე შემდეგ ერთ საათის დაიცალა მთლად დარბაზი.— ვრცელ დარბაზში მორცხვად იდგენ ცარიელთა სკამთა და შიკრიკის ძილის ხვრენამ შეაჩერა ძლივ „ვაგაზაზი“. ბოლოს ისიც გაიპარა... დარჩა მარტოდ იქ შიკრიკი. (რიგია

ეჭიბთან



მკიმი: ცოტა კიდე გამოჰყევით ენა.
პაციენტი: მეტი არ შემიძლია... მეტი სიგრძე არა აქვს ენას.
მკიმი: ქალი და ასე პატარა ენა პირველად მხედება მთელს ჩემს პრაქტიკაში. ბელნიერი ყოფილა თქვენი ქმარი, თუ კი ეს მართლაც ასეა, მაგრამ არა მგონია!.

მომხსენება დაასრულა

სალამოს ხუთი საათისთვის იყო მოწვეული საერთო ყრება. „პროფდისციპლინის წესით ევალუბა კავშირის ყველა წევრებს დასწრება დაუფვიანებლათ“—ო.—ასე ეწერა ადგილკომის ტელეფონოგრამაში. კრებას 1321 ჯაცი უნდა დასწრებოდა. ხუთი საათის ნაცელათ 7 საათსა და 9 წუთზე შეიკრიბა 311 კაცი; რადგან ეს კრება მესამეთ იყო მოწვეული, კანონიერათ იქნა ცნობილი.

დღის წესრიგში შემდეგი კითხვები იდგა:

1. დაწესებულების აპარატის რაციონალიზაცია—
 აღმინისტრაციული განყოფილების უფროსის მოხსენება.
2. ჩვენი კოოპერაცია—ინსტრუქტორის მოხსენება და
3. მიმდინარე საკითხები.

ზრდილობის, დადლილობის, ხათრის თუ შინაარსიანი მოხსენების წყალობით აუდიტორია ნახევარი საათის განმავლობაში წყნარათ უსმენდა მომხსენებელს; შემდეგ ატყდა ხველა, სიარული, სკამების ხმაურობა; მომხსენებელმა ილაპარაკა 2 საათი და 9 წუთნახევარი. გაათავა... პრეზიდიუმმა გადახედა დარბაზს, რომელიც უკვე განახევრებულყო. ალბათ ზოგს კინოში ეჩქარებოდა, ზოგს კიდევ სად.

დარჩენილი მსმენელები, რომლებიც კრების დაწყებამდე ადგილკომის მდივანმა რეგისტრაციაში გაატარა—დათვალეს და „პროფდისციპლინის ძალით“ წინადადება მისცეს ბოლომდე დარჩენილიყვნენ.

დაიწყო შეკითხვები ზეპირი და წერილობითი. თავმჯდომარემ გადათვალეირა წერილობითი შეკითხვები, რაც დარჩენილ დამსწრეთა მეტი გამოვიდა და მომხსენებელს გადასცა; მომხსენებელმა მოიმარჯვა სათვალე და დაიწყო პასუხი პატარა შეკითხვებიდან, რაც გვარიანათ გაგრძელდა, ვინაიდან მომხსენებელს არ უყვარდა „ენა-მეირობა“...

აუდიტორია დაიკალა; სამდივნო და პრეზიდიუმიც უკან გაჰყვა; კოოპერაციის ინსტრუქტორმაც სახლში ძილი არჩია და ისიც წასულებს უკან გაედევნა.

მომხსენებელი შემოთოდა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, დარბაზი პენსნეს ზევიდან დაათვალეირა და ცარიელი სკამები დაინახა.

დარბაზის ერთ ერთ კუთხეში სავარძელში ჩამომჯდარ დარბაზს ჩასძინებოდა.

უკვე ღამის 12 საათი გამხდარყო. მომხსენებელი სცენიდან ძირს ჩამოჯდა, დარაჯი გააღვიძა და სათანადო დარიგება მისცა; თვითონ კი სახლში კმაყოფილი დაბრუნდა; მან ხომ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა.

როკაპი

დღიურიდან

მონადირეთა კავშირის დადგენი-
ლებით, კავშირის ტრადიციულ სა-
ლამოსათვის ნადირის ხორცის ჩამო-
სატანათ სხვადასხვა რაიონებში დაი-
გზავნა მონადირეთა რამოდენიმე
ჯგუფი.

ყარიაზში გაგზავნილმა ჯგუფმა
ჩამოიტანა სამი გარეული ღორი და
ერთი გარეული კატა.

(ქრონიკიდან).


წარსული კვირაც
ჩემთვის იყო
წყველი, კრული,
სველით აღსავსე
სისხლიანი და
ტრადიკული.
ვერსად წავედი...
თბილისის გარედ
მეშინია კატასტროფისა:
ველარ ვენდობი
მატარებელს
გარდა სრაფისა...
ერთხელ მიინც
მიმხედარიყოს
სპეციალური
ეს კომისია,
მატარებლების
ამდენ მსხვერველში
თუ უმთავრესად
ბრალი ვისია...
და ამ ფიჭვებით
წავედი
მონადირეთა სალამოს,
(ველირსები კი ოდესმე
ცხოვრების
ტკბილსა, სალამოს?)...
ფულით უნდოდათ
ავესოთ ცარიელი
თავისი დახლი,
ნადირების
სისხლით მორწყეს
ხელოვანთა
დიდი სახლი...
ტოლუმბაშათ აირჩიეს
პაულო
ცნობილი თამადა
ტოსტებს აბამდა
ტოსტებზე. ისე,
სულ თავის თავადა:
—ყმაწვილებო,
ვადღეგრძელოთ
ნადირთ მეფე
მძლავრი ღორი;
მართალია
ჩვენ წავაგეთ
შარშან მგლებთან
დიდი ომი,—
მაგრამ ეხლა
ხომ კარგია
ჩახოხბილზე
ცხელი ღორი...
შემწვართა შორის
მოუტანეს
სტუმრებს
კატა უული

ნ ა ტ ვ რ ა



ნელნელა მივცავს საათის ისარი.
(სათის კი არა, ნამდვილი ისარი).
კიდევ არ თავდება ჯერ ხამსახურია;
ამათ კი იქ უცდის ღვინო კახურია.
სწეველიან:—შენს მომგონს თვალეში ნაცარი.—
სათის ისარსა მოაბეს ბაწარი,—
და სწევენ, რათა დრო გავიდეს მალეო...
ამბობენ:—საქმე კი გაკეთდეს ხვალეო.

ვისია ეს სამაიტხველო?



და თამადა ჩვენი
იქნა გადარეული:
—სად გაგონილა
კატა დესერტათ?!
არვინ გაბედოს
ეს ამის მეტად...
ქამეს და გლიჯეს...
ხორცი მათ შველის,
მაგრამ სალაროს.

ვერვინ უშველის...
გათიენებამდე
იძახეს „ურა“...
ამას მიქვიან
მონადირეთა
ტრადიციული
დიდი კულტურა...

კაკოხ ბიძა.

სოციალური ავადმყოფობანი



მომივარდა შიგ. ფანჯარაზე შეეუხტი, თორემ ღორს ვერ გადავურჩებოდი.

აქაურების თქმით როგორც გავიგე, ეასაჲე გოქის ხორცის დაუძინებელი მტერი ყოფილა... და ალბად ცმობა მოუნდობა ღორბა შექმა. დეე ღორმა და ეასქემ თაგის ისტორიული მტრობა სადაც უნდათ იქ გამოხს-წლორნ.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა წმინდა ვარდენის სარეცელთან გავჩნდი.

— წმინდაო ვარდენ! მოვედი შენთან, რომ გამასწავლო გზა საიქიოსაქენ.

ვარდენი თოფ ნაკრავივით შეხტა:— ეინა ხარ უჩინა-ჩო არსებაჲ?

— არსად წამოგცდეს, და მე კონსტანტინე ვარ.

— შემინდ წმინდაო კონსტანტინე! ალბად თქვენი ძმა დავითიც თას გახლავს?

— დავითი ქუთაისში დარჩა, ჩამოეა მაქსიმ გორკით ხუთშაბათს... შენ გამაცილებ.

— საით?— აიბნა ვარდენი...

— საით და საიქიოსაქენ.

— საიქიოსაქენ?! ენა ჩავარდნილივით აღურღულდა ვარდენი. შეირყა სარეცელის მყურბოება, გაღვიძებულ კოლის წიხლი ვარდენს ფერღში მოხვდა.

— რა ცოდვა გაღრიალეხს ამ ლოგინში!— დაიკაპასა ვარდენის ცოლმა და ქმარს ლოგინში წიხლი ჩაჭკრა.

ისევე ქუთაისში დაბრუნება ვამჯობინე და წამოვედი.

კოსტადიძე.



ჭიჭილსაჲს ზუთსა



ხმარსი (არა სახერხი)

ტარტაროზის ნათლია რომ არ იწერებოდეს, ჩვენ ამას სხვას არ დავუჯერებდით. იგი გვეწერს, რომ—

ტყუილია რომ ამბობენ: „ძალდი ძალის ძვალს არ დაჰზრავსო!“. დახრავს და ძალიან კარგადაც... მაშ რისი ძალდია, თუ ძალლობას არ გამოიჩენს!.. თუ კი ასე არ არის, აბა, ერთი გვითხარით სმნაპის გეფართლი შაჰრამბი რატომ დიერივინენ არშინებით და თავ-პირი დაუმტვირის ერთმანეთს?

მართლაც, აღარ გამართლდა ხალხის ზემოსენებული თქმულება...

მაგრამ უკაცრავად, მგონი ჩვენ ეცლებით... მგონი სანახევროდ მიიწე მართალია:

მეორე დღეს „პარასკევობას“ ისევ ზავი ჩამოაგდეს ერთმანეთს შორის და დაატრიალეს არშინი... თურმე ნუ იტყვი—ერთმანეთის ცემა-ტყევის დროს არშინები დამოკლდენ და გლეხებსაც ამ დამოკლებულ არშინებით მიუზომეს ფართალი.

ჩვენ ეჭვი გვებადება: ალბად წინა დღით ერთმანეთს იმიტომ წაჩხუბნენ არშინებით სენაკელი მეფართლე ფაჩრები, რომ პარასკევობისათვის არშინები მოკლე ჰქონოდათ და ამით ბევრი მოეგოთ. გატეხილი თავის და ცხვირის მორჩინა ადვილი საქმეა, ხოლო ფულის მოგება კი ძნელია... და რომ ეს ჩხუბი განგებ მოწყობილია, იქიდანაც სჩანს, რომ ისინი ამ ახლო ხანში კიდევ აპირებენ ერთმანეთში წაჩხუბებას.

აშვირუშ

ოჩამჩირეში არის ქართული ცხრა-წლელი, რომლის შესახებაც „ივანიჩა“ და „დუღუხანი“ გვეწერენ:

საჭიროა დასაგველოდ ცოცხი, რომელიც დაჰვავს არა იატაკს, არამედ პედაგოგიურ საბჭოს, რომელიც ინტრიგანობის მეტს არაფერს აკეთებს.

ამ საქმის გამოსარკვევად დანიშნულმა კომისიამ გამოარკვია, რომ „მადლობის ღირსია სკოლის გამგე ზოსიმე ხაბურზანია; ღვინო გააძვირა და ამით გლეხებს საშუალება მისცა ღვინო კარგ ფასებში გაეყიდათ. ამის გარდა ზოსიმემ „სახელი მოიხვეჭა“ დ. ვალში, სადაც გამართა წარმოადგენა, რომლიდანაც დარჩა მშ მანეთი ღვეფიტიტი, ვინაიდან აქ ძვირი იყო კახური ღვინო.

როცა ჩვენ ზემოთქმულ წავიკითხეთ, გაგვიკვირა და გავიფიქრეთ:—

ნუ თუ გამგეს ამ საგმირო საქმეებში არავინ უწყობს ხელს?—და ქვევით ვნახეთ, რომ, თურმე ხელს უწყობს ზაალ აბაშიძე.

ხშირია შემთხვევა, როცა გამგეს სკოლაში ნახულობენ მოწაფეები დილით... თურმე მთვრალი გამგე წინდამით მიდის სკოლაში გამოსახუბი-ზებლად... რომ ჰკითხო;

— რატომ ვმრამბი ასეო,— გიპასუხებს:

— იმიტომ, რომ, სულმერთია, დილით მიიწე უნდა ყოვიდი სკოლაში და ბარამ რომ არ დაჰაგვიანდეს, წინდამით მოვ-ლიშპარ...



გაიღვიძე მასწავლებელი გათენდა

ჩვენ ჩვენი ვსთქვით და აწ აფხაზეთის განსახკომს ეკითხებოდეს ეს ამბავი.

არ შეცდეთ



თქვენ ალბად ჰგონიათ, რომ ეს არის მღვდლის სახე... არა; ეს არის მაჩხანის „ლესნიჩი“... თუმცა, როგორც „არ დამიტიროთ“ გვატყობინებს

წვერი გულმკერდზე ჩამოდის, ზოგსა ჰგონია მღვდელია. სახელად ჰქვიან პრაჟანა, ცაცი ლოთი და მსმელია.

თუ გინდ მას ხელში მიეცით.

არაყით ხავსე ყანწია,—

გადაჰკრავს, კიდევ მოითხოვს:

— ათს კიდევ დავლევ აწია.

მაშასადამე მღვდლებს, როგორც გარეგნულად, ისე ჩვეულებითაც ჰგავს: მღვდლებსავეთ (და კიდევ უკ-რო) უყვარს ღვინო.

დასტოვებს ღიად კანტორას,

უცდის მას ხალხი მილეთი...

„ლესნიჩს“ კი არა სცალია,

რომ ხალხს მიჰყიდოს ბილეთი...

და ალბად მაშინ მოიცილის, როცა სამსახურიდან გამოაბრძანებენ. მაშინ ამ პატივმულ „ლესნიჩსაც“ მეტი დრო ექნება ლოთობისათვის, და ხალხიც თავის დროზე მიიღებს ბილეთს.

მიჰბაძა

დიდი - ჯიხიაშის სანიტკომისიას („ტარტაროზი № 76) მიჰბაძა საჯავახო სამ. აი რას გვატყობინებს წყაროს-პირელი:

გამოჩინებულის თემში წრემან-დელმა მცირე მოსაწვლმა დააფიქრა „სოფლის მოღვაწენი“, რომლებმაც სადგ. საჯავახოს განყოფიერების მიზნით ჯერჯერობით დაჰყარეს ხუთი ვაგონი უსუფთაობა (ნაკელი). მუშაობა გრძელდება. ჩოხატაურის მეტ-ლეები და მეურმეები უხვად სტოვებენ საქონლის ნაკლებს. აღმასკომის თავმჯდომარე ძალიან ყურადღებით ეკიდება ამ საქმეს, და თვალყურს ადევნებს ნაკელი ბაზრიდან არავინ მოიპაროს.

თუ ბაზრის გაწმენდა არ მოხერხდა ნაკელისაგან, აღმასკომი მანც გასწმინდეთ, და მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდება საჯავახოში სისუფთავის დაცვა. აი ეს არის ჩვენი გულწრფელი რჩევა.

„სამი გრაცია“

ღიახ! სრული ქეშმარიტებაა, და ეს ქეშმარიტება ქიათურის პროფკავშირშია. აბა ყური დაუგდეთ სინდიოფალას:

პირველი იმბოს შორისა

მონაგარიშე ქალია.

ის სარდალია სხვებისა;

საქმისთვის მას არ სცალია

მთელი დღით სამი ასული.

(სამივე აქ კავშირშია)

შეყვარებულებს იგონებს,

ენა არ უცდით პირშია-

კავშირი მენდსანშრომისა

თამარის ტუალეტია...


პასუხის ნაცვლად, შეგიტევს:

— ო, რა უზრდელი კაცია!... არა გვცალია, ხომ ხედავთ ბუდრს ვიცხვებთ „სამი გრაცია“?!

ტარტაროზი. შუამდგომლობს ჭიათურის პროფკავშირთა წინაშე, ეს „სამი გრაცია“ როგორც ძვირფასი სამკაული მუზეუმს (იგივე შრომის ბირჟას) გადასცეს, (თუ რასაკვირველია ყველა ეს მართალია).

გაზრდილობა

შესაძლებელია ჩვენი მკითხველი ფოთში მოხდეს (ფოთშიც ხომ ბევრი გვყავს ადგილობრივი მკითხველები) და მას მოეხმას გინება:



ეს დურგალ ნესტორ სირაძის ხმ. არის.

ჩვენი ნესტორი სირაძე ცალ ხელში ქულს დაიკავებს... სამიკიტნოში მიდის და ჭიშკვს მუშტებსა და მკლავებს. სამიკიტნოში ღვინოს სვამს და ამბობს სიტყვას ავსაო: — კაცს, რომელს უყვარს ცოლშვილი, ლაფი დავახსი თავსაო.

(ქვეყუდის-შვილი).

აჰა, ჩავადეთ „ტარტაროზში“ ნესტორი, და აბა ვნახოთ როგორ იმოქმედებს ეს გარემოება მისზე.

ღამუვიღლით



ეს არაფერია... დამშვიდდით. ძიძის აღმასკომის თავმჯდომარემ, როცა „შესკამა“ ერთი სუვეს საინი ხარჩო, აიღე და ცარიელი საინი ქედელზე მიამტვრია... ეს არის, მეტი არაფერი, მაგრამ ეს არ იკმარა და ზედ ბროლის ჭიქაც მიაყოლა... და, აი ეს **ღამუვიღლით** ბროლის ჭიქა გვყვარს თუ რატომ ჩაიღინა თეოფილემ ეს საგმირო საქმე:

„ტარტაროზში“ ჩამწერეს და მიწოდეს ლოთია; აწ მე ვიცო... მე მკითხეთ სმა, ჩხუბი და შფოთია.

სულ დავამხსვრევ ამ ჭურჭელს მაქვს ამისი ხოშია... მსურს ღვინის სმა ჭურჭითა, მომიტანეთ ქოშია.

ამ ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი რითმისათვის ტარტაროზმა მიუმატა და იმედია არ ეწყინება თეოფილეს. ჭურჭით ღვინის სმა ჩვეულებრივი მოვლენაა... ალბად თეოფილეს მეტიხმეტი ბრაზისაგან დააეწყდა, თორემ, დარწმუნებული ვართ, ჩვენი გახსენება არ დასჯირდებოდა.

რესკონტრო და სახარება



რესკონტრო ბეკუთენის ლაგოდების ბანკის ბუჰალტერს — ლევან გრძელიძეს, ხოლო სახარება კი ადგილობრივ მღვდელ გოცირიძეს...

და თუ ეს ორი წიგნი აქ ერთად არის, ეს იმიტომ რომ მათი პატრონნი: ბუჰალტერი და მღვდელი ერთად დადიან და ბავშვებს ნათლავენ. როცა მღვდელს სახარების წამოღება დაავიწყება ეკლესიიდან, მაშინ ბუჰალტერი თავის რესკონტროს მოაშვევლებს:

სახარებას ჰგავს რესკონტრო, ორთავე წიგნი სქელია... ვინ რას შეამჩნევს, იკითხე, ყდასა დაადე ხელია...

და მღვდელიც ასე იქცევა. ის მონებრებული კაცია... და მონებრებული რომ არის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ

„სულში“ ვეჭილად ბრძანდება ეს გოცირიძე მღვდელია; სკამს ლაგოდებს და ღვინებს; „ოდელა-დელა-დელია“.

გოცირიძეს რომ დიაკენად გრძელიძეს დაუნიშნავდნენ, კარგი იქნებოდა — გვწერს „სტაფილო“: და ტარტაროზსაც მიზანშეწონილად მიაჩნია „სტაფილოს“ აზრი, ხოლო ამისათვის საჭიროა გრძელიძის განთავისუფლება თანამდებობიდან.

ვლამიანი „მკო“

ჩვენ გაგვიკვირდა ეს სათაური, მაგრამ როცა „ჩაქველ ხელოცის წერილი წაიკითხეთ ჩაქვის ეპოს შესახებ. დავრწმუნდით, რომ ქლექი ისეთი სენი ყოფილა, რომ შესაძლებელი იმით ყველაფრის დასნეულება.

ამდენხანს გარდაიცვლებოდა, მაგრამ არაფის სცალია, რომ მის დასაფლავებას დაესწროს. ამიტომაც ეს საწყალი ავადმყოფი „ეპო“ უტკერის გამოფხეკილ დუქანში ქერს და იატაკს... და იშვიათად თუ ვირობა გაიბრუნებს... დიხს! გაიბრუნებს; (ანდა რატომ შეჩერდეს, როცა საკბილოს ვერაფერს წააწყდება)

ეპოს ქონება ეს არის:


იატაკ-კედელ-ქერიო;

მოაკლდა ნოჩარს ვირობები

ხაფანგით დასაქერიო.

ზის დახლთან ახლოს ხაფანგთან

ქოსტყვამს ცრემლითა მწარეთა:



ვირობებიც აღარ მოდიან,

ყველა გაიქცა გარეთა.

მართალია: ამ ზმთარს ჰდილად გადაიტანს ჩაქვის ქლექიანი „ეპო“, მაგრამ გაზაფხული მას ცუდ რამეს უქაღის, თუ ამთავიდანვე არ შეუდგა გამეგობა მის მკურნალობას.

ო ზ უ რ გ ე თ ი

არსენამ უთხრა ტონსა:

— შენ კი დავიდგეს თვალიო;

ჩამოეხსენი რაისო,

სანამ მოვლესო ხმალიო.

მე წითელ სასადილოში მიტომ დავდივარ მთერალიო, რომ მიჯნურს ვეკუკურები, შინ მავიწყდება ქალიო.—

ანტონმაც შემოუთვალა:

— ჩვენში კავშირი წყდებაო.

მებრალვი, თორემ მოკლავდი

მამა ნუ წამიწყდებაო;

ცოლი გაუშვი და კერპად

მხოლოდ ის დავისახეო.

რაისოს ფასი ამ ქვეყნად

მე ჯერ ვერაფერს ვნახეო.

ჰვიგინა თუ სიწმინდე

ყველგან მან დააწყესაო;

ამას რად უნდა ჩიჩინი;

სუყველა ხედავს დღესაო.—

ჩამოერია მათ შორის


მაკაროს სხვა იერიშითაო...

მაგრამ გაგზავნეს სარწყილეთს,

დაბრუნდა მაყარიჩითაო.

ქველი.

„საკვატივისსაცემო“



— კაცო, რატომ უველა ასე მზიარული ხართ?!. ეს ხომ თქვენი ზამგის გამოსამშვიდობებელი ვახშაშია და... სრ-
დინჯი და მოწევილობა გმართებთ?
— მორედ ამიტომაც არის უველა მზიარული, რომ მოგვაშორეს ეს ჩვენი გამგე.